საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცყეილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი. 2018 წ. №218 (8619) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ჟამი თვალების ფართოდ გახელისა!..

სალომე ზურაბიშვილი ვაშაძეს და რუსეთს ქვეყანას არ დაუთმობს!

– მზად ვარ მეორე ტურისთვის, მზად ვარ ბრძოლისთვის, – თქვა გუშინ „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა საგანგებო პრესკონფერენციაზე.

– პირველ რიგში, მინდა, ულრმესი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მოვიდა არჩევნებზე, ვინც მხარი დამიჭირა, ხმა მომცა; ყველას, ვინც ორთვენახევარი ასე აქტიურად მონაწილეობდა კამპანიაში – „ოცნებას“, „ოცნების“ აქტივისტებს, უბრალო ადამიანებს.

ის, რაც მოხდა 28 ოქტომბერს, სერიოზული გამარჯვებაა. შეიძლება ვიღაცამ იფიქროს, რომ ეს არ არის დამაჯერებელი გამარჯვება, შეიძლება ველოდით მეტს, მაგრამ პირველ ტურში პირველი ადგილი ეს არის გამარჯვება. ყველაფრის მიუხედავად, იმ ბინძური კამპანიისა, ცილისწამებისა, რომელიც ეკუთვნის რუსულ ტექნოლოგიას, ამ ყველაფრის მიუხედავად პირველი ადგილი პირველ ტურში არის გამარჯვება.

„ცრუსთავი-2“ ფიქრობს და აჯერებს ხალხს, რომ შეიძლება მოვხსნა კანდიდატურა. და რა?! ვაშაძეს და რუსეთს დავუთმო ქვეყანა? – არააა!, მხარდამჭერები და თანამებრძოლები მივატოვო შუა ბრძოლაში? – არა და არა, მე მგონი, არ მიცნობენ, კახელიც ვარ და მეგრელიც – ჯიუტი, ბოლომდე წამსვლელი, ჩემი ხალხისა და ქვეყნის ერთგული. ამიტომ მზად ვარ მეორე ტურისთვის. მზად ვარ ბრძოლისთვის!..

ჩვენი წყალი ბაჟაღლო ოქროა!

19 ოქტომბერს ბათუმში გამართული დამფუძნებელი ყრილობის სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“

მიმართვა

ქართველ ხალხს და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ მამუკა ბახტაძეს

④

ირმა ნიორაძე:

არ მეგონა, ჩემი ერის გარკვეულ ნაწილს ცოცხების ნოსტალგია

③

ასე მწვავედ თუ დაუბრუნდებოდა განუკურნებელი სენით

ნარკომანია

⑨

„ძლევაც კი შეიძლებაო“!

საკუთარ თავთან დაბრუნება

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

გელა ქოქიაშვილი

⑦

გიორგი ცაბაძე –

თბილისის აღიარებული ტრუბადური

ნათია მეზვრიშვილი:

მარიხუანის გავრცელებისთვის ხელის შეშლის მიზნით შევიმუშავეთ ეს კანონპროექტი

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი მარიხუანის მოხმარების რეგულაციებთან დაკავშირებული კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვაში მიიღო მონაწილეობა.

„იურიდიული კომიტეტი მეორე მოსმენით განიხილავს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით მთელი რიგი შეზღუდვების დაწესებას. კერძოდ, აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, მარიხუანის მოხმარება იკრძალება მთელ რიგ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, არასრულწლოვნის თანდასწრებით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ასევე, სხვადასხვა ადგილებში და დაწესებულია შესაბამისი სანქციები. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული ცალკეულ შემთხვევებში და ასევე გათვალისწინებულია მთელი რიგი სამოქალაქო უფლების ჩამორთმევა და ამგვარი უფლებების შეზღუდვა. მიზანი ამ კანონპროექტის გახლავთ ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ, რომელმაც პირად სივრცეში მარიხუანის მოხმარება დაუშვა, ჩვენ დავაწესეთ შესაბამისი რეგულაციები-შეზღუდვები იმისთვის, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სკოლებში არასრულწლოვნების თანდასწრებით ადამიანებმა მარიხუანა არ მოიხმარონ და თუ მოიხმარენ, დაეკისროთ მათ შესაბამისი პასუხისმგებლობა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელსაც ეს კანონპროექტი ითვალისწინებს - აქამდე არ ისჯებოდა სისხლის სამართლის წესით და აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, სისხლის სამართლის წესით დაისჯება სატრანსპორტო საშუალების მართვა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, ისევე როგორც ნარკოტიკული საშუალების მოხმარება 21 წლამდე ასაკის პირის მიერ იქნება დასჯადი.

ცალკეულ შემთხვევებში გავამკაცრეთ პასუხისმგებლობა, მაგალითად, როდესაც 21 წლამდე ასაკის პირებზე ვსაუბრობთ და ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვაზე. ცალკეულ შემთხვევებში რეგულაციები საერთოდ არ არსებობდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რომელმაც ფაქტობრივად მარიხუანის მოხმარება პირად სივრცეში დაუშვა, ამიტომ ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის უსაფრთხოების დაცვისთვის, მარიხუანის მოხმარების წახალისებისთვის და გავრცელებისთვის ხელის შეშლის მიზნით შეგვემუშავებინა ეს კანონპროექტი. კულტივაციას რაც შეეხება, ძალიან მოკლედ და კონკრეტულად გეტყვით: ამ ეტაპზე, როგორც იცით, ეს კანონპროექტი არ განიხილება. თუ დაიწყებს პარლამენტი ამ საკითხზე მსჯელობას, ჩვენ ბუნებრივია, ამ პროცესებში ჩავერთვებით, თუმცა ამ ეტაპზე ეს საკითხი არ განიხილება“, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

არჩევნების პერიოდში 15-მდე პირი მივეცით სისხლის სამართლის პასუხისგებაში!

შინაგანს საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა არჩევნების პერიოდში აღმოჩენილ დარღვევებზე ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

„არჩევნების პერიოდში დარღვევის ფაქტების პრაქტიკულად ყველა საქმე ბოლომდეა მიყვანილი. 15-მდე პირია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული. როგორც ზოგიერთი პირი ოპოზიციური პარტიიდან, ისე მმართველი გუნდის მხარდამჭერები. ჩვენ ვცდილობდით როგორც არჩევნებამდე პერიოდში, ისე მისი მიმდინარეობის დროს, რომ როგორც სამართალდამცველ უწყებას პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი შეგვენარჩუნებინა. რაც შეეხება არჩევნების დღეს მომხდარ ინცინდენტებს, რამდენიმე ფაქტზე დაიწყო გამოძიება. 10-ზე მეტი ფაქტია ამ მდგომარეობით. მათ შორის კასპის შემთხვევა და მარნეული, სადაც 2 პირი იმავე დღეს დავაკავეთ ადმინისტრაციული წესით, ერთი იყო ნაციონალური მოძრაობის, ხოლო მეორე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი. გამოძიება მიმდინარეობს. ჩვენ ახლა ვაწარმოებთ იმ პირების გამოკითხვას, რომლებიც არჩევნების დღეს უბრალოდ არ მოვწყვიტეთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და არ გვინდოდა, პროცესები ჩაგვეშალა. როგორც კი ბოლომდე მივიყვანთ გამოძიებას და შედეგები გვექნება, დამატებით გაცნობებთ“, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

თურქეთი რესპუბლიკის დაარსების 95-ე წლისთავს აღნიშნავს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე თურქეთის რესპუბლიკის დაარსების 95-ე წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო მიღებას დაესწრო. რეგიონის მთავრობის მეთაურმა თურქეთის კონსულს ბათუმში მაქბულე ქოჩაკს რესპუბლიკის დღე მიულოცა და მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

როგორც მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, თურქეთი და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არიან, რისი საფუძველიც არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ ქვეყნებს შორის დიდი ხნის ისტორიული და მრავალმხრივი კავშირებია.

საქართველოს ეკონომიკაში დადებითი ტენდენციები გრძელდება

წინასწარი შეფასებით, 2018 წლის სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკურმა ზრდამ 5.6 პროცენტი, 2018 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ კი 4.9 პროცენტი შეადგინა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ეკატერინე მიქაბაძის ინფორმაციით, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის სფეროში, ასევე საფინანსო სფეროში, ვაჭრობაში, ტრანსპორტის სექტორში, უძრავ ქონებაში, სასტუმროებსა და რესტორნებში. ამასთან, 2018 წლის სექტემბერში საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა ბრუნვა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 10.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ახლად დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 4 071 ერთეულს გაუტოლდა. სექტემბერში, საწარმოთა ბრუნვა, რომელზე დაკვირვებაც ხდება ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად, გაზრდილია 10.4 პროცენტით.

ეკატერინე მიქაბაძის განცხადებით, **ნარჩუნდება დადებითი დინამიკა, რომლებიც საქართველოს ეკონომიკაში წლის დასაწყისიდან ფიქსირდება. „ის ტენდენციები, რომლებიც წლის დასაწყისიდან ფიქსირდება საქართველოს ეკონომიკაში, გრძელდება, ამას მოწმობს როგორც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, ასევე სარეიტინგო კომპანიების შეფასებები“,** — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ.

იანვარ-სექტემბერში 4.6 პროცენტით ნაკლები მშენებლობის ნებართვა გაიცა

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2018 წლის იანვარ-სექტემბერში გაცემულია 7702 ნებართვა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,6 პროცენტით ნაკლები) 4536,9 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,2 პროცენტით ნაკლები). აღსანიშნავია, რომ ნებართვების 72,0 პროცენტი გაცემულია ქვეყნის 3 რეგიონში, კერძოდ: ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაობის 48,0 პროცენტი ქ. თბილისშია, 13,2 პროცენტი — აჭარის ა.რ.-ში და 10,8 პროცენტი — ქვემო ქართლის რეგიონში.

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის იანვარ-სექტემბერში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სასტუმროების, სავაჭრო ობიექტების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა - ნაგებობების მშენებლობაზე. გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები. დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე მეტი 56,1 პროცენტი ქვეყნის 3 რეგიონზეა განაწილებული, კერძოდ: 28,9 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 15,6 პროცენტი — კახეთის რეგიონზე, ხოლო 11,6 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე.

გიორგი ქობულია:

ავეჯის წარმოება უნდა გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო სექტორი საქართველოში

თურქეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია ავეჯის მწარმოებელი 12 უმსხვილესი თურქული კომპანიის ხელმძღვანელ პირებს შეხვდა. მათ შორის, ზოგიერთი უკვე საქმიანობს საქართველოში და სამომავლოდ წარმოების გაზრდას და ექსპორტზე პროდუქციის გატანასაც გეგმავს.

შეხვედრა თურქეთის უმსხვილესი ბიზნეს გაერთიანების — საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს (**DEIK**) ორგანიზებით ჩატარდა, მას ორგანიზაციის პრეზიდენტი ნაილ ოლფაქი და თურქეთ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ იანგინი, აგრეთვე საქართველოს ელჩი თურქეთში გიორგი ჯანჯღავა დაესწრნენ.

შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა მათ გააცნო საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო, აგრეთვე მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საქართველოს ავეჯის მწარმოებელთა და ზოგადად აღნიშნული ბაზრის განვითარების შესაძლებლობებზე, ასევე იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ქვეყნის მთავრობა უკვე ახორციელებს ან სამომავლოდ აპირებს, მიიღოს აღნიშნული სექტორის განვითარების მიზნით.

როგორც გიორგი ქობულიამ აღნიშნა, თურქეთის ავეჯის მწარმოებელ კომპანიებთან შეხვედრა ძალიან პროდუქტიული იყო. მათ ძალიან დიდი ენთუზიაზმი გამოხატეს საქართველოში ინვესტიციებთან დაკავშირებით ავეჯის წარმოების სექტორში, სხვადასხვა ტიპის ავეჯში. გადაწყდა, რომ ისინი ჩამოდიან საქართველოში 12-დან 15 ნოემბრამდე, რათა განიხილონ კონკრეტული წინადადებები და გვქონდეს კონკრეტული მოლაპარაკებები. დიდ იმედებს ამყარებენ საკმაოდ დიდი მასშტაბის წარმოებების აწყობაზე, რომლებიც მოემსახურება არა მარტო ჩვენს რეგიონალურ ბაზარს, არამედ ასევე საექსპორტო ბაზრებს, როგორიც არის ევროპა და ჩინეთიც კი.

მრგვალი მაგიდის წარმომადგენლებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას გეგმავს საქართველოს მთავრობა ავეჯის წარმოებისთვის აუცილებელი კვალიფიციური პერსონალის გადამზადების მიმართულებით, ასევე ნაბიჯები, რომელიც გადაიდგა საქართველოში ავეჯის კლასტერის განვითარების მხარდაჭერის მიზნით. შეხვედრაზე თურქი ბიზნესმენების მხრიდან გამოითქვა დაინტერესება, საქართველოს ავეჯის წარმოების გაფართოებისა და დამატებითი ინვესტიციის განხორციელების შესახებ.

შეხვედრაზე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს პრეზიდენტმა ნაილ ოლფაქმა მოუწოდა თურქ ბიზნესმენებს, რომ საქართველოში უამრავი შესაძლებლობებია არა მხოლოდ ვაჭრობის კუთხით, არამედ ინვესტირების თვალსაზრისითაც.

შეხვედრის დასასრულს, თურქეთ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ იანგინმა განაცხადა, რომ ქართული მხარის მოწვევით, 12-15 ნოემბერს საქართველოში მსხვილი თურქული კომპანიების, მათ შორის, ავეჯის მწარმოებლების წარმომადგენელთა დელეგაცია ეწვევა, რომელიც ადგილზე გაეცნობა საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და ბიზნეს-შესაძლებლობებს.

ირმა ნიორაძე: არ მეგონა, ჩემი ერის გარკვეულ ნაწილს ცოცხების ნოსტალგია ასე მწვავედ თუ დაუბრუნდებოდა განუკურნებელი სენით

– ულრმესი მადლობა ძვირფასო მეგობრებო კომენტარებისთვის, სადაც მოღალატედ მომიხსენიებთ.

არ მეგონა, თუ ჩემს სამშობლოში სიტყვის თავისუფლება და ჩემი დამოუკიდებელი აზრი ასე გაგაღიზიანებდათ არჩევნებთან დაკავშირებით.

დიდხანს ვფიქრობდი, რა ფორმით გამეცა თქვენთვის პასუხი და ისიც კი ვიფიქრე, მარცხენა ლოყაც შემომეშვირა თქვენთვის, რადგანაც ასე ვარ გაზრდილი, თუმცა, ალბათ, დადგა ის მომენტი ჩემს ცხოვრებაში, რომ ვარდისფერ ფერებში ყველა ერთმანეთში არ აგრიოთ.

ერთხელაც მომიწია პასუხის გაცემა რუსული მედიისთვის, როდესაც რუსეთიდან დეპორტირებული ჩემი ქართველები დავიცავი, ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ კი რუსეთიდან წავედი.

ჩემზე წერთ, რომ მოღალატე ვყოფილვარ, მოღალატე რომ ვიყო, მართლაც არ უნდა გამაჩნდეს დამოუკიდებელი აზრი და, ალბათ, თქვენთვის უნდა მეკითხა და თქვენთვის სასურველი საპრეზიდენტო კანდიდატისთვის უნდა მიმეცა ხმა.

2004 წელს მე გავაკეთე ჩემი არჩევანი ჩემს სულიერებაში, მაშინაც არავის უკარნახია ასე არ მოიქცეო, არ გამიკეთებია წინასწარი გათვლებით ის არჩევანი, რომელიც არა პირადად ჩემი, არამედ ჩემი ქვეყნის გამთლიანებას და ბედნიერებას ეკუთვნოდა.

მე მაშინ ჩემი ხმა „ნაციონალურ მოძრაობას“ მივეცი და პრეზიდენტ მიშა სააკაშვილის ინაუგურაციის კონცერტშიც მივიღე მონაწილეობა ჩვენს ცნობილ კოლეგებთან ერთად. მე ძალიან ბედნიერი ვიყავი მაშინ, რადგან გაბრწყინებული იმედის თვალებით ვუყურებდი ჩემი ქვეყნის მომავალს, თავისუფალი და მშვიდი გულით ვსუნთქავდი და სწორედ სულ მალე გადამეკეტა ეს თავისუფალი სუნთქვა.

სანკტ-პეტერბურგში, ჩემს ბინაში, სპექტაკლისთვის ვემზადებოდი, როდესაც თავზე ომონის სპეცრაზმი და მილიცია ერთად დამადგა, მე და ჩემი ოჯახის წევრები იატაკზე დაგვაწვინეს და ჩემს ტირილით გაოგნებულ კითხვაზე, თუ რატომ სჩადიოდნენ ამას? მათ ასე მიპასუხეს, ეს თქვენს პრეზიდენტ სააკაშვილს ჰკითხეთო. მაშინ ტანში სისხლი გამეყინა. არ მახსოვს, იმ დღეს როგორ და რა ვიცეკვე ან როგორ მოვიკრიბე ძალა, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც მიზეზი გავიგე, საერთოდ დავმუნჯდი. პრეზიდენტის განკარგულებით ჩემს სახლში ჩემი ქმრის ძმის ცოლის დედის ძმას ეძებდნენ, რომელიც ვერანაირად ვერ იქნებოდა ჩემი ნათესავი, შესაბამისად, დღემდე ვერ ვპოულობ პასუხს იმაზე, თუ რა შუაში ვიყავი მე?

შემდეგ, მე და ჩემი მომღერალი და ჩარეცხილების შავ სიაში ჩაგვწერეს და მადლობა უფალს, რომ არ დაგვაპატიმრეს, თუმცა ორივე დაგვბლოკეს და განსაკუთრებით გადაეკიდნენ ჩემი მეუღლის ბიზნესს და ღვინის ქარხანა დაუყადაღეს.

ჩვენ ვიცოდით, ვინ აწვეთებდა ყურში ბატონ პრეზიდენტს საშინელებებს ჩვენს ოჯახზე, მაგრამ მაშინ ხომ სიტყვის თავისუფლება არ არსებობდა?

მე და ჩემი მეუღლე ჩვენი შრომითა და წვალებით რასაც ვიძენდით რუსეთში, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს სამშობლოში ვაბანდებდით, ქარხანაში სამუშაო ადგილების შექმნა სწორედ ამ შრომის ფასად გვიჯდებოდა.

2008 წლის საშინელი ომის შემდეგ მე და ჩემი ოჯახი ჯერ ინგლისში, შემდეგ კი საფრანგეთში გადავედით. ვერ აღგიწერთ, თუ როგორი რთულია, ხელცარიელი გაიქცე სახლიდან და საკუთარ სამშობლოში ჩამოსვლის უფლების გარეშე, საზღვარგარეთ გადაიხვეწო და ნულიდან დაიწყო ყველაფერი, თუმცა იმასაც დავაყოლებდი, რომ ამისთვის არც ბატონი მიშას წინ დავმდგარვარ მუხლებზე და მითხოვია, არიქა გმირის წოდება მიბოძეთ-მეთქი და არც ბატონ ივანიშვლთან გავქცეულვარ და მიწუწუნია, ნაციონალებმა დამჩაგრეს და ხელფასი დამინიშნეთ-მეთქი.

ყველა მთავრობას რომ მოერგო და გამოიყენო, განსაკუთრებული ნიჭით უნდა იყო დაჯილდოებული, რაც ვერასოდეს დაფუძნდება ჩემში.

ორი სიტყვით მინდა შევეხო იმ კომენტარებს, სადაც ქალბატონი ნინო ანანიაშვილის მიმართ შურში მდებენ ბრალს და ერთმანეთს უპირისპირებენ ჩვენს სახელებს. რატომ გგონიათ, რომ მე და ნინოს ერთმანეთის გვშურს? ის ჩემთვის იყო და დარჩება ბალეტის ხელოვნების მეგა ვარსკვლავად და მისი არც პირველი გედობა და მით უმეტეს, არც პირველი ლედობა შემშურდებოდა და იცით, რატომ?

პირველი, იმიტომ რომ, კარგად ვიცი, რის ფასად ჯდება ჩვენი პროფესია, მეორე კი, არც ჩემით და არც ნინოთი დაწყებულა ჩემი ქვეყნის ისტორია და მადლობა უფალს, რომ არც ჩვენით დამთავრდება ჩვენი საქართველო.

ზოგმა რიგით ნომერ მეორე ბალერინად მომიხსენია, ზოგმა ლანძღვა-გინება და თუ კი რამ ბილწსიტყვაობა არსებობს, არ დაიშურა და ისეთი მრისხანებით გაილაშქრა ჩემზე, რომ თემურლენგს, შაჰ აბაზსა და მურვან ყრუსაც კი შეშურდებოდა მათი სისასტიკის.

რაც შეეხება რიგით ნომერ მეორე, მესამე და მეოთხე ბალერინას სახელს, დიდი ღირსებით ვატარებ, რადგან ვიცი რა წვალებით დავიწყე, ნომერი 4, 3, 2, ბალერინას შემოქმედებითი რთული გზის გავლა, რომ საქართველოს საზღვრებს გარეთ პირველი ბალერინას სახელი დამემსახურებინა.

ახლა, რაც შეეხება ჩემს არჩევანს, მე არ გამიკეთებია არც იმაზე განცხადება, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე მინდა ვნახო ჩემი ქვეყანა.

მე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი და ვიქნები მარიხუანის ლეგალიზაციის, და თუ ჩემს მიერ არჩეული საპრეზიდენტო კანდიდატი ნებისმიერი სახით ავნებს ჩემს სამშობლოს, მაშინ გამოვალ და ვაღიარებ, რომ მწარედ შევცდი, ისევე როგორც შევცდი 2004 წელს.

თუმცა იმაში კი მყარად ვარ დარწმუნებული, რომ მოღალატე მე კი არა, არამედ იმ პოლიტიკით მოაზროვნე ადამიანები არიან, რომლებმაც 2008 წელს რუსეთს 60 კილომეტრში შავი ტანკები დააყენებინა ჩვენს თბილისთან.

დაბოლოს, მინდა განვაცხადო, რომ ყველა ერი არ ჰგავს ერთმანეთს.

ზოგი სუფთა ევროპულ არჩევანს აკეთებს და ამით ხარობს და ამაყობს, ზოგი ჩილიმს ეწევა და საერთოდ არ დარდობს არჩევნებზე, ზოგ ერს კი საერთოდ არ აქვს ხმის ამოღების უფლება და სანამ „ვოდკას“ სვამს, ფეხზე წამოდგომით იძულებით უკრავს ტაშს თავის დიქტატორ პრეზიდენტს.

და ეს არც მიკვირს, რადგან ეს მათი არჩევანია.

მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, რომ ჩემი ერის გარკვეულ ნაწილს ცოცხების ნოსტალგია ასე მწვავე ფორმით თუ დაუბრუნდებოდა განუკურნებელი სენის სახით.

დღემდე ვაკეთებდი და გავაკეთებ იმ სიკეთეს მშვიდად, რასაც ქველმოქმედება ჰქვია, რადგანაც სამშობლოს ვერავინ წამართმევს, ვინც არ უნდა მოვიდეს პრეზიდენტად. უფალმა შეგინდოთ და გაპატიოთ, რაც ჩემზე დაწერეთ.

მე მაინც მიყვარხართ და მეც მომიტევეთ“...

წინასაარჩევნოდ ირმა ნიორაძემ „ფეისბუქში“ დაწერა, რომ საქართველოში სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად ჩამოვიდა. „დღეს დავბრუნდი მონტე-კარლოდან! მიმაჩია, რომ ეს ჩემი ვალდებულებაა! მიმაჩნია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილმა უნდა გაიმარჯვოს!“, – დაწერა ირმა ნიორაძემ „ფეისბუქში“.

დავივიწყოთ გუშინდელი უბედურება?!..

„მუდამ იქნება საშიშროება, სახელმწიფოს სათავეში სხვა ტყავში გახვეული იგივე ძალა რომ მოვიდეს“

ფეისბუქმომხმარებელი **გელა კურტანიძე** საკუთარ გვერდზე შემდეგი შინაარსის პოსტს აქვეყნებს:

„ერთი-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მილიონამდე ზრდასრულმა საქართველოს მოქალაქემ მხარი დაუჭირა ძალადობას, სიცრუეს, ბულინგს, აგრესიას, არაკაცობას, ბიზნესის რეკეტს, სამშობლოს ღალატს, გამოხატულს ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის რუსეთისთვის სინით მირთმევაში და მერე ქვეყნის თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტის რუსული წარმომავლობის კაპიტალისთვის მიყიდვაში, გახლავთ ის, პატივცემულებო, რომ არ შეფასდა ნაციანალური უბედურების „მოღვაწეობის“ 9 წელი, არც სამართლებრივად, არც ზნეობრივად, არც პოლიტიკურად...

ადამიანები თურმე ძალიან მალე და ძალიან ადვილად ივიწყებენ წარსულს, ახალგაზრდებს კი ვერც კი აუხსნი, ზემოთ ჩამოთვლილში რატომ ვდებ ბრალს ნაცმოძრაობას და ეს ბრალდებები ჩემი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი ჰგონიათ...

სულელები კი არ არიან გერმანელები, თავიანთი ნაცისტური წარსული რომ კატეგორიულად დაგმეს და პრევენციის მიზნით ჰოლოკოსტის უბედურებების სანახავად დღესაც მუზეუმებში რომ დაატარებენ ბავშვებს...

და სანამ ჩვენც იმავეს არ ვიზამთ, მუდამ იქნება საშიშროება სახელმწიფოს სათავეში სხვა ტყავში გახვეული იგივე ძალა მოვიდეს...

ეს ქვეყანა კი ამას ვეღარ გადაიტანს, ისედაც ძლივს უდგას სული.

ნაციანალური უბედურების ნამოქმედარი უნდა შეფასდეს და დაერქვას თავისი სახელი და ვინც ამას ხელს უშლის, სწორედ ის გახლავთ პასუხისმგებელი შექმნილ ვითარებაში...

„დავივიწყოთ წარსულიო“ – გვთავაზობენ ნაციანალური უბედურების წარმომადგენლები და მათ დავუჯეროთ თუ ილია მართალს, საქართველოს სინდისს, რომელმაც ასე დაგვიბარა:

„აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა!“

და კიდევ:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიძნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?!“ – წერს გელა კურტანიძე.

geotimes.ge

სრულიად საქართველოს სახალხო მოძრაობის დამფუძნებელი ყრილობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ მოსახლეობის უმრავლესობის სახელით მოგმართავთ თხოვნით როგორც პროგრესულად მოაზროვნე ქვეყნის კეთილდღეობისთვის მებრძოლ მამულიშვილსა და მთავრობის ღირსეულ ხელმძღვანელს.

დღეს სამშობლო ჩვენი და ქართველი ერი უმძიმეს ყოფით მდგომარეობაშია, გაუსაძლისმა სიდუხჭირემ და შიმშილმა ყველა ოჯახში შეაღწია და ხვალინდელი დღის უსასრულო უიმედობამ მოსახლეობას ძლიერი, ეკონომიკურად დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის ერთიანობის განცდის უნარი დააკარგვინა.

ჩვენი წყალი ბაჯაღლო ოქროა!

19 ოქტომბერს ბათუმში გამართული დამფუძნებელი ყრილობის სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“

მიმართვა

ქართველ ხალხს და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ მამუკა ბახტაძეს

იგი ეხება საქართველოში არსებული მიწისძვეშა სასმელი წყლების ჩამოსხმის ინდუსტრიის შექმნას. კონცეფციაპროგრამა ითვალისწინებს არსებული მარაგების (573 მ³/წმ-ში. მათ შორის საექსპლუატაციოდ დასაშვებია 301 მ³/წმ-ში) მხოლოდ ამ მიზნებისათვის 0,75%, ანუ 2.5 მ³/წმ-ში გამოყენებას. ეს რაოდენობა იძლევა საშუალებას, რომ საქართველომ არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის გათვალისწინებით ყოველწლიურად აწარმოოს 50 მილიონი ტონა დაფასოებული სასმელი წყალი, რაც დღევანდელ მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნას მხოლოდ 5 დღით აკმაყოფილებს.

კონცეფცია-პროგრამის ავტორები, პროფესორები: პაატა გიორგაძე, ზაურ ციხელაშვილი და ნოდარ ჩხეიძე, სხვა 50-მდე ცნობილ თანაავტორ-მეცნიერებთან ერთად, მზად არინ საქართველოს რეგიონების მუნიციპალურ ერთეულებში განიხილონ ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტი და გააცნონ საზოგადოებას, რომ საქართველო არ არის ღარიბი ქვეყანა და თუ რა დიდი სიმდიდრის პატრონია ქართველი ხალხი.

პროგრამა ითვალისწინებს, რომ ეს სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკუთრებაა, ხოლო ამ სიკეთემ უნდა შეაღწიოს თითოეულ ოჯახში და ფეხზე წამოაყენოს მუხლმოყრილი საქართველო გაუსაძლის სიდუხჭირეში მყოფ მოსახლეობასთან ერთად.

დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს წყლის ინდუსტრიის სააქციო საზოგადოება, რომელიც საქართველოს ყველა ოჯახს, ეტაპობრივად, სიმბოლურ ფასად გადასცემს ათეულიათასობით დოლარის ღირებულების მატერიალურ ფასეულობას 1 აქციის სახით.

ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით მეცნიერ-ავტორთა ჯგუფის მიერ შექმნილია ახალი ფინანსური ინსტრუმენტი, რომლითაც სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში უზრუნველყოფილია „სასმელი წყლის მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრის გარკვეული სეგმენტი“ და ინდუსტრიული მშენებლობისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვა 5 მლრდ აშშ დოლარის მოცულობით.

სასმელი წყლის ინდუსტრიული მშენებლობის (1-1,5 წელიწადში) დასრულების შემდეგ, მშპ-ს ზრდისა და პროდუქციის სტაბილური წარმოების პირობებში, საექსპლოატაციო დასაშვები მარაგის მხოლოდ 75%-ზე კაპიტალიზაციის ტექნოლოგიებისა და მსოფლიოს ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენების ინოვაციური მოდელი, უზრუნველყოფს ასეული მილიარდობით აშშ დოლარის ახალი ფინანსური ინსტრუმენტის ფორმირებას, რაც ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო დარგობრივ-ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად ქმნის გრძელვადიანი მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოზიდვის რეალურ გარანტიებს მსოფლიოს უმაღლესი კლასის საბანკო რეიტინგით,. აქედან გამომდინარე:

1. საქართველო უნდა გახდეს ბუნებრივი სასმელი წყლის მწარმოებელი ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა;

2. ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის დაფასოებული სასმელი წყლის მრეწველობის ეკონომიკიდან ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლები გაიზრდება 12 მლრდ აშშ დოლარით (50 მლნ ტონა მსოფლიო საბითუმო ფასის 24 ცენტ/ლიტრის გაანგარიშებით);

3. მშენებლობის დასრულებიდან 1 წელიწადში, დაიწყება ეროვნული ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა-განვითარება, რასაც მოჰყვება ბიუჯეტის დაჩქარებული ზრდა 3 მლრდ აშშ დოლარით.

4. სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნით საწარმოო, სატრანსპორტო, დამხმარე სამეურნეო და სხვა სამრეწველო ციკლში დასაქმდება ათეულათასობით ადამიანი, საშუალო ხელფასით 1 500 აშშ დოლარი;

5. მოიხსნება სიღარიბის არსებული მწვავე პრობლემები;

6. შეჩერდება მიგრაციული პროცესები;

7. დაიწყება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;

8. ინდუსტრიული მშენებლობის დასრულებისთანავე, მშპ-ზრდისა და პროდუქციის სტაბილური წარმოების პირობებში საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მატერიალიზების ტექნოლოგიებით პესიმისტური მოდელის გამოყენება უზრუნველყოფს 570 მლრდ. აშშ. დოლარის ეკვივალენტ ფულადი რესურსების მოზიდვას;

9. ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით განხორციელდება: სოფლისა და სატყეო მეურნეობის, ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის გადამმუშავებელი მრეწველობის, მაღალმთიანი საზღვრისპირა თანამედროვე სოფლების მშენებლობა შესაბამისი გლეხურ-ფერმერული მეურნეობების და სხვა სტრატეგიული საინვესტიციო ეკონომიკური პროექტების დაფინანსება, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და დამოუკიდებლობის გარდაუვალი წინაპირობაა;

სოციალური პარამეტრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის დეგრადირების პროცესის გაღრმავებას ადასტურებს. საზოგადოება დაბნეულია. საბაზრო პრინციპების ცალმხრივად დამკვიდრებამ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის დეფორმირება გამოიწვია. მივიღეთ მძიმე სოციალურ-პოლიტიკური შედეგი: ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგების ფონზე მოსახლეობის უმცირესი მდიდარი (შეძლებული) ნაწილის და გაღატაკებული უმრავლესობის ინტერესების დაპირისპირება, რომელიც ახალი გამოწვევების (რისკების) წინაშე აყენებს ქვეყანას.

სამწუხაროდ ამჟამინდელი ხელისუფლების ძალისხმევა არსებული პრობლემების გადაჭრის მიმართულებით, ეგრეთწოდებული „კოჰაბიტაციის“ გამო, გაუგებარია, რაც უკმარისობის გრძნობას ბადებს და აჩენს ნამდვილი სახელმწიფოს მშენებლობის ხელოვნურად შეფერხების ეჭვს, სახელმწიფოსი, რომელსაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფასეულობები უნდა გააჩნდეს და მათი დაცვისთვის ეფექტურად ფუნქციონირებადი ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემა.

მიუხედავად ამ მეტად რთული მდგომარეობისა, ქართული საზოგადოების ამოცანაა, დაიცვას სამშობლო, თავისუფლება, მრავალსაუკუნოვანი კულტურა, ეროვნული ტრადიციები, ადათ-წესები. მისთვის საჭიროა თვით საზოგადოების სტრუქტურული მთლიანობა, მისი სულისკვეთების განხორციელების ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

ბატონო პრემიერო, მოვითხოვთ საქართველოს მთავრობისგან ქართველი მეცნიერების მიერ შემუშავებული ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის კონცეფცია-პროგრამის გადაუდებელ და აუცილებელ რეალიზაციას, რომელიც უმოკლეს დროში გამოიყვანს უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყანას და ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე საქართველოს, როგორც ერთიან, ძლიერ, დემოკრატიულ სახელმწიფოს მშვიდობიანი ეკონომიკური სივრცით.

ქართველი მეცნიერების მიერ ხანგრძლივი მაკროეკონომიკური კვლევითი საძიებო სამუშაოების შედეგად ნაპოვნია ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე რესურსული პოტენციალი, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობისაა და იგი წარმოადგენს ადამიანისთვის აუცილებელ სასიცოცხლო დანიშნულების ბუნებრივად განახლებად სიმდიდრეს მატერიალური ფასეულობის სახით, რომელიც გაზისა და ნავთობის საბადოების მფლობელი ქვეყნების სიმდიდრეს მრავალჯერ აღემატება და ქვეყნის სწრაფი სოციალურ- ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ეკონომეტრია.

10. დაგეგმილი სტრატეგიული ეკონომიკური პროექტების განსახორციელებელი საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 94 მლრდ. აშშ. დოლარს, რომლის სტარტაფს წარმოადგენს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრია ახალი ფინანსური ინსტრუმენტით. აღნიშნული თანხის მოზიდვა სტრატეგიულ პარტნიორებთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე უკვე მიღწეულია. დაბანდებული კაპიტალის უკუგების ვადა არ აღემატება 10 წელს, ხოლო ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები გაიზრდება 51 მლრდ. აშშ. დოლარამდე. ამავე პერიოდიდან დასაქმდება შრომისუნარიანი მოსახლეობის 300 ათასზე მეტი ადამიანი 4 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში სახელფასო ანაზღაურებით;

11. დაიწყება საგარეო ვალებისა და საქართველოს კონსტიტუციის, თავი მე-5 47 და 48-ე მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განხორციელება;

12. გადაიდგმება რეალური ნაბიჯი ეკონომიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისთვის, რაც იძლევა ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის გაძლიერების სრულ გარანტიას;

13. გაიზრდება მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა, შეიქმნება საშუალო ფენა, საფუძველი ჩაეყრება ერთიანი, ძლიერი, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს რეალურ მშენებლობას, რითაც საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო თანამეგობრობის პოლიტიკურ რუკაზე, მშვიდობიანი რეგიონალური ეკონომიკური სივრცით.

პაატა გიორგაძე, კონცეფცია-პროგრამის ავტორი და თანაავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი, მოძრაობის დამფუძნებელი, თავმჯდომარე; **ელიზბარ ჯაველიძე,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის“ საპატიო თავმჯდომარე; **ოთარ ნათიშვილი,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის აკადემიკოს-მდივანი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ნოდარ ჭითანავა,** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ზაურ ციხელაშვილი,** კონცეფცია-პროგრამის თანაავტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, პროფესორი, მოძრაობის დამფუძნებელი, თანათავმჯდომარე; **ნოდარ ჩხეიძე,** კონცეფცია-პროგრამის თანაავტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი, აჭარის რეგიონის სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს სახალხო მოძრაობის თანათავმჯდომარე; **რამაზ სურმანიძე,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის ეკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აჭარის რეგიონის სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ თანათავმჯდომარე, სრულიად საქართველოს სახალხო მოძრაობის სათაბიროს წევრი; **გურამ სალარაძე,** მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, საზოგადო მოღვაწე, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ თანათავმჯდომარე, სრულიად საქართველოს სახალხო მოძრაობის სათათბიროს წევრი; **ელიზბარ ლომინაძე,** სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ თანათავმჯდომარე, სრულიად საქართველოს სახალხო მოძრაობის სათათბიროს წევრი; **რომან რურუა,** მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, სახალხო მოძრაობის დამფუძნებელი, სათათბიროს წევრი; **შალვა ნეფარიძე,** ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, სახალხო მოძრაობის დამფუძნებელი, სათათბიროს წევრი; **რეზო გოგოხია,** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახალხო მოძრაობის დამფუძნებელი, სათათბიროს წევრი; **თამაზ ცინცაძე,** აჭარის რეგიონის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის რეგიონის სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ თანათავმჯდომარე, სრულიად საქართველოს სახალხო მოძრაობის სათათბიროს წევრი; **ზურაბ აბაშიძე,** მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ თანათავმჯდომარე, სრულიად საქართველოს სახალხო მოძრაობის სათათბიროს წევრი; **ბიძინა ორაგველიძე,** აჭარის რეგიონის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის რეგიონის სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ თანათავმჯდომარე, სრულიად საქართველოს სახალხო მოძრაობის სათათბიროს წევრი.

„ივანიშვილს მოუწევს მწარე რეალობის აღქმა!“

მიუხედავად მმართველი გუნდის მტკიცებისა, რომ მისი ფავორიტი კანდიდატი პირველივე ტურში გაიმარჯვებდა (ამასვე ადასტურებდა მმართველი გუნდის დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლი), მიუხედავად საარჩევნო პროცესში მისი აქტიური ჩართულობისა, მათ შორის — ადმინისტრაციული და ფინანსური კუთხით, მეორე ტური გარდაუვალი გახდა.

რამ განაპირობა მოცემული შედეგი, რა უთხრა საკუთარი გადაწყვეტილებით ამომრჩეველმა ხელისუფლებას და როგორ გამოიყურება ამ პროცესებში „ქართული ოცნება“? — ამ და სხვა საკითხებზე „აქცენტი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა.

ზაზა ფირალიშვილი: ყველა შემთხვევაში, როდესაც მმართველი პარტია არჩევნებში ვერ აღწევს სერიოზულ შედეგს, მიზეზი რა უნდა იყოს? — ბუნებრივია, წინასაარჩევნოდ ან ზოგადად, მმართველობის დროს დაშვებული შეცდომები. არჩევნები არის ინდიკატორი იმისა, რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა მმართველი პარტიით. როგორც ჩანს, ბევრმა მოქალაქემ ამჯობინა, ხმა მიეცა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და არ გაეხსენებინა ის, რაც ასოციაციურად უკავშირდებოდა მის ხელისუფლებას და საბოლოოდ 2012 წლის მოვლენები განაპირობა. მით უმეტეს, რომ მოქმედმა ხელისუფლებამ ვერ აღკვეთა ტენდენცია კორუფციისკენ, რაც სრულიად ნათელი იყო კორუფციული პროცესების მიმართ არცთუ კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში მხილებული ადამიანების წინ წამოწევით.

ადამიანებმა არ მოინდომეს, დაეთმოთ ის მონაპოვარი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს რეალურად იყო. თავად მეც ვებრძოდი „ნაციონალურ მოძრაობას“ კონკრეტული მიზეზების გამო. თუ „ქართული ოცნება“ ამ კონკრეტულ მიზეზებს ვერ გადალახავდა, მაშინ რა აზრი ჰქონდა მის მოსვლას? ეს ყველაფერი გროვდებოდა. ამდენად, შედეგები სრულიად ლოგიკურია.

— კი ბატონო, 6 წლის განმავლობაში დაგროვდა პრობლემები, მაგრამ თქვენი ხედვით, თავად საარჩევნო პროცესში თუ იყო სტრატეგიული ხასიათის შეცდომები?

— რა თქმა უნდა. თავად კანდიდატი არჩეული იყო საზოგადოებრივი აზრის შეფასების გარეშე. ზედმეტად დაიმედდნენ, რომ ქართველი ამომრჩეველი ნებისმიერ კანდიდატს მიიღებდა. რამდენადაც ვიცი, კანდიდატთან დაკავშირებით თავად „ქართულ ოცნებაშიც“ იყო წინაამდეგობები: იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ეს კანდიდატი ვერ გაუმართლებდათ. მათ ყური არ დაუგდეს. მსგავს შეცდომებს ყოველთვის უშვებენ, თუ ზედმეტად დაიმედებულები არიან საკუთარ შესაძლებლობებში.

— არჩევნების შედეგების შეფასებისას ყველაზე ინფორმატიური განცხადება დედაქალაქის მერმა კახი კალაძემ გააკეთა. მის განცხადებაში მმართველი გუნდის ლიდერშიფის მიმართ ერთგვარი კრიტიკა ჟღერდა...

— დიახ. მე ნათლად დავინახე, ალბათ, სხვებმაც, რომ „ქართულ ოცნებაში“ აშკარად არაცალსახა დამოკიდებულება იყო ქალბატონი სალომეს კანდიდატურის მიმართ. პარტიის ლიდერს ამ ხმებისათვის ყური უნდა დაეგდო, მაგრამ არ დაუგდო და მიიღო ის სურათი, რაც მიიღო. ეს აღარ არის 2012 წელი, როდესაც შენს მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ კანდიდატს დაუჭერს მხარს ხალხი. მართალია, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საზოგადოებისთვის ისეთ უცნობ კანდიდატს, როგორიც იყო გიორგი მარგველაშვილი, საზოგადოებამ მხარი ივანიშვილის ხათრით დაუჭირა, მაგრამ **ივანიშვილმა ვერ განსაზღვრა, რომ ნდობა ამოწურვადია. ის ზედმეტად დაიმედდა იმ ჭარბი ნდობით, რომელზეც თავად საუბრობდა. ახლა მას მოუწევს მწარე რეალობის აღქმა:** თურმე რეიტინგი დაცემადია, ნდობის ხარისხი — შემცირებადი და, ამ ყველაფერმა შეიძლება, მისთვის არასასურველი შედეგების მიღება განაპირობოს.

— თუ საზოგადოებრივი განწყობებით ვიმსჯელებთ, დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამჯერადაც ამომრჩეველი საარჩევნო უბანზე მეტწილად არა რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერად, არამედ ვიღაცის წინააღმდეგ ხმის მისაცემად მივიდა...

— დიახ, დიახ. თუ ძალიან დაბნეულები და პანიკაში არ არიან, ეს „ქართული ოცნების“ მხრიდან აუცილებლად არის გასათვალისწინებელი: ამომრჩეველმა, რომელმაც გრიგოლ ვაშაძეს მისცა ხმა, მეტწილად ხმა მისცა არა ვაშაძეს, არამედ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებაში სერიოზული საპროტესტო მუხტია დაგროვებული. ამდენად, თავის დაიმედება და ნარცისიზმი არაფერში გამოადგებათ. ჯერ კიდევ როდის ვაფრთხილებდით მეც და კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომ ყველაფერი აქეთ მიდიოდა — „ქართული ოცნება“ საკუთარ თავში იკეტებოდა, სჯერდებოდა მხოლოდ შიდა წრეებში არსებულ ინფორმაციას. როგორც ჩანს, ბევრი მათგანი ჯერ კიდევ 2012 წლის ეიფორიაშია და შედეგიც მიიღეს.

— პროცესებში საკმაოდ აქტიურად არის ჩართული მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. როგორ ფიქრობთ, წაადგება მისი აქტიურობა ოპოზიციას თუ ავნებს?

— ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად არ დაიბნევა „ქართული ოცნება“, რამდენად შეძლებს თავისი რესურსების მობილიზებას. თუ ისევ უცნაური თვითკმაყოფილების გამოხატვის გზით ივლის, რა თქმა უნდა, მეორე ტურში მისთვის მძიმე შედეგები დადგება.

გარდა ამისა, ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელახალ აღმავლობას განიცდის: თითქოს ენერგია აქვთ შემატებული და იმ ამომრჩევლის მობილიზება, რომელიც ტრადიციულად „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერს მხარს, დიდად არ გაუჭირდებათ. ამდენად, ახლა მე ნამდვილად არ მშურს „ქართული ოცნების“ მდგომარეობის. მათ წინ რთული ბრძოლა ელით და ძველი პარადიგმებით, ბრძოლის ძველი წესებით, ოპონენტების მიმართ აგდებული თუ რაღაც ამის მსგავსი დამოკიდებულებით, ისევ იმ „9 წელზე“ აპელირებით არაფერი გამოვა. არაერთგზის აფრთხილებდნენ „ქართულ ოცნებას“, მათ შორის — მეც, რომ რაც უფრო მეტს ისაუბრებენ „9 წელზე“, მით უფრო შეუწყობდნენ ხელს იმას, რომ ადამიანებს ის დავიწყებოდათ. ასეც მოხდა: ადამიანებმა „9 წელი“ დაივიწყეს, მობეზრდათ ამ თემაზე ლაპარაკი და უკვე სხვა რეალობას მიაქციეს ყურადღება — იმას, რომ სახელმწიფოში სტაგნაციაა.

— თქვენ მიერ ნახსენები პანიკა იგრძნობა მმართველ გუნდში?

— ვერ გეტყვით. ამ დაკვირვების საშუალება არ მაქვს. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ იქ პანიკით მოცული ბევრი ადამიანი იქნება, განსაკუთრებით — ისინი, ვის წინააღმდეგაც არის საზოგადოებრივი უკმაყოფილება მიმართული. ბუნებრივია, სწორედ მათ წინააღმდეგ მიიმართება, თუკი რაიმე რეალური მოხდება „ქართულ ოცნებაში“.

— იყო მოსაზრებები, რომ სალომე ზურაბიშვილმა შესაძლოა, მეორე ტურში მოხსნას საკუთარი კანდიდატურა. რამდენად რეალურად გესახებათ მსგავსი გადაწყვეტილება?

— ჩვენთვის მარტივი სათქმელია, მაგრამ რეალურად, ეს ძალიან რთული გადასაწყვეტი იქნება როგორც სალომე ზურაბიშვილისთვის, ისე „ქართული ოცნებისთვის“ ელემენტარული მიზეზის გამო: კანდიდატის მოხსნა ნიშნავს, რომ ძალა შესძინო დამარცხების ინერციას, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი წინასწარ იგრძნოს ძალა, რომ შეუძლია, „ქართული ოცნების“ დამხობა. ამდენად, მსგავსი გადაწყვეტილება ძალიან რთული ფსიქოლოგიური დარტყმა იქნება „ქართული ოცნების“ წევრებისთვის. ამას შეიძლება, მოჰყვეს გაქცევების წყება და ა.შ.

ᲮᲔᲚᲨᲔᲣᲮᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ

ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ **არჩევნების შედეგების შეფასებისას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲰᲣᲜᲙᲝᲛ გაოცება გამოხატა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ქვეყანაში ბევრი ფული დაიხარჯა, რაც, მისი აზრით, საქართველოს მსგავს ღარიბი ქვეყნისთვის ცოტა უცნაურია. სტატისტიკოსმა ᲡᲝᲡᲝ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔᲛ კი დაითვალა, რომ ამ არჩევნებში, ერთ სულ მოსახლეზე, ფაქტობრივად, 1.5-ჯერ მეტი თანხა დახარჯა საქართველომ, ვიდრე აშშ-მა ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს.**

ᲠᲐ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲖᲔᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ, ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ „ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲛᲐ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

საუბრის ჩანაწერილი ინახება „კომერსანტში“, თუმცა გარკვეული მოსაზრების გამო, ბიზნესმენმა გვთხოვა, დავიცვათ კონფიდენციალურობა და არ დავასახელოთ მისი სახელი და გვარი.

კარგი ანალიზია. როგორ შეიძლება, აშშ-სთან შედარებით უფრო მეტი თანხა დახარჯოს ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს ეკონომიკის მქონე სახელმწიფომ? საიდან მოდის ეს ფინანსები არჩევნებისთვის? როგორც წესი, მოდის კერძო წყაროებიდან ან ბიზნესიდან. კერძო წყაროებიდან ფინანსირებას, როგორც წესი, პრობლემები არ მოაქვს, მაგრამ საკმაოდ პრობლემატურია ბიზნესის მიერ პოლიტიკოსების ფორმალურად და არაფორმალურად ლობირება.

ჩვენთან ისეთი კანონმდებლობაა, რომ კომპანიებს არჩევნებში ფულის ჩადება არ შეუძლიათ. მაგრამ, სინამდვილეში რაც ხდება, ვიცით. ბიზნესმენები ან პირდაპირ აძლევენ ვიღაცას ფულს, ან გამოუწერენ ხელფასებს თანამშრომლებს და მერე მათ, ვითომ ფორმალურად შეაქვთ ამა თუ იმ კანდიდატის სახელზე. სინამდვილეში, ბოლოს არჩევნებს დიდ წილად მაინც ბიზნესი აფინანსებს.

საქართველოში ამას ხელს უწყობს ეკონომიკური პოლიტიკაც. ბიზნესი ძირითადად კონცენტრირებულია ბიძინა ივანიშვილზე. მათთვის ეს არის პირდაპირი ინვესტიცია — თუ არ იყიდეს არჩევნები, ბიზნესი თავზე ექცევათ. ეს ბიზნესის მხრიდან ერთგვარი უსაფრთხოების ყიდვაა.

ამერიკაში ერთი მთავრობა წავა და მოვა მეორე, მაგრამ ბიზნესმენმა იცის, რომ მათ კომპანიას არავინ დახურავს. საქართველოში პირიქით, არჩევნების დაფინანსებით ერთგვარად ხელშეუხებლობის დაზღვევას ყიდულობ, რაც გიღირს. ამას არ გააკეთებ და იმდენად ნეგატიური შედეგი შეიძლება მიიღო, რომ ფინანსურად დიდად იზარალო. ამერიკაში ეს დილემა არ გაქვს. ვთქვათ, ხაზარაძეს წყალობდა კვირიკაშვილი, ან ვიღაც სხვა, და ახლა ბახტაძე არ წყალობს, ან სხვა ასეთი ფაქტები. ამიტომ მსხვილი ბიზნესი გაცილებით ძვირის გადახდისთვისაც არის მზად.

ᲩᲕᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲧᲝ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲛᲘᲨᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲨᲐ ᲬᲧᲕᲔᲢᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲪᲣᲓᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ? ᲢᲠᲘᲣᲛᲕᲘᲠᲐᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲨᲛᲐᲒᲘ ᲓᲐ ᲣᲩᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲗᲔᲛᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲘᲙᲘᲕᲘᲠᲓᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲛ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲩᲐᲛᲝᲐᲧᲐᲚᲘᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲕᲔᲠ ᲔᲫᲔᲑᲐ.

ივანიშვილს გულწრფელად უნდა კორუფციაც დაბალი იყოს და ეკონომიკური ზრდაც მაღალი, მაგრამ ვერ ხვდება, რომ ამ სისტემის გამომწვევიც და აისბერგის წვერიც თავადაა. ყველაფერი ლოგიკურად გამოდის — როდესაც მას უნდა არაფორმალურად მართვა, სჭირდება ხალხის ერთგულება, რაც უმთავრესია, კომპეტენცია კი მეორეხარისხოვანი. რომ არ გავაზვიადოთ, ფაქტობრივად, მონებს ქირაობს. ძლიერი, კომპეტენტური და დამოუკიდებელი ადამიანი მასთან არ წავა, შესაბამისად გვყავს სამოსანი მთავრობა და პარლამენტი. ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲘ ᲨᲔᲔᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ, ᲨᲔᲔᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲡᲔᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲙᲐᲠᲔᲑᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲙᲘ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪᲐᲐ ᲒᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ — ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲝ?

ამ ყველაფრის გამო, მსხვილი ბიზნესი ცდილობს თავის დაცვას და, ფაქტობრივად, ჩამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილზე. მის გარეშე მნიშვნელოვანს ვერაფერს გააკეთებ დღეს საქართველოში. ამ შემთხვევაში საუბარი არ არის წვრილ ბიზნესზე.

შეიძლება, პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ მსხვილ ბიზნესს ეს აწყობს, რადგან მასთან სიამტკბილობა მისი წარმატების ფაქტორია.

ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ ამბობს: მე თვითონ ვარჩევ საქმეებს, ბიზნესმენებს მე ვარიგებ ერთმანეთში, მშვიდობა რომ იყოს და კარგად იმუშაონო — ეს მაფიოზური სქემაა. ადრე ქურდებთან გარჩევა რომ იყო, ამჟამადაც ის არის ფაქტობრივად. ვის შეუძლია შუშის სასახლემდე მისვლა? მხოლოდ მსხვილ ბიზნესს. კონკურენტულ სიტუაციაში ბიზნესმენებს მეტი კონცენტრაცია სჭირდებათ, ვინ ითამაშებს და ვინ ვერა ბაზარზე. ამიტომ ასეთი სიტუაცია აწყობთ მსხვილ ბიზნესმენებს და საბოლოოდ ვიღებთ მონოპოლიზაციას.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვინ აგებს ამით? ცხადია, ხალხი. ვიღაცა ბიზნესმენმა შეიძლება ფული იშოვოს, მაგრამ ამ გზით მთლიანად ეკონომიკა ვერ განვითარდება. ერთი მსხვილი კომპანიის ნაცვლად ორი მსხვილი რომ იყოს, ან 2-10 საშუალო ან წვრილი კომპანია, ფასებიც უფრო დაბალი იქნება, გაიზრდება სერვისის მოცულობები და პროდუქციის ოდენობა და ხარისხი.. მომხმარებელიც უკეთეს ფასში შეძლებს პროდუქციის შეძენას და ეკონომიკაც უფრო სწრაფად გაიზრდება. უფრო დაბალი ფასი ნიშნავს უფრო მეტ მოხმარებას. ამიტომ ეს ყველასთვის და, შესაბამისად, ქვეყნისთვისაც იქნება კარგი. რა შემთხვევაში მოხდება ეს? მაშინ, როცა პატარა მთავრობა გვყავს, დაბალი რეგულაციები გვაქვს და დაბალი გადასახადებია. როცა, ბიძინა ივანიშვილის მსგავსი ნახევარლმერთი არ გვყავს სადღაც წამოსკუპებული...

ᲑᲐᲩᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲬᲐᲐᲒᲝ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ?

ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ **პარტიის მიერ მხარდაჭერილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა არჩევნები წააგო ბათუმში, სადაც ამომრჩეველთა მხოლოდ 33,88 %-მა მისცა ხმა. ხმების უმრავლესობა კი ამ ქალაქში გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ მოიპოვა, მას ბათუმელების 44,82% დაუჭირა მხარი.**

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შეფასებისას ბათუმში მსჯელობენ იმაზე, თუ რამ განაპირობა იმ პოლიტიკური პარტიის კანდიდატის გამარჯვება, რომელსაც ქალაქმა უარი უთხრა 2012 წლის შემდეგ ყველა არჩევნებზე.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ **ᲜᲐᲗᲘᲐ ᲖᲝᲘᲫᲔ** ამბობს, რომ იგი ელოდა ამ შედეგს, რადგან მისი შეფასებით სიტუაცია ბოლო დროს კრიტიკული იყო, ხოლო ხელისუფლება პრობლემებს ადეკვატურად არ აღიქვამდა:

„რა ვნახეთ ბათუმელებმა ექვსი წლის განმავლობაში? ჩვენ თვალს ვადევნებდით ხეების ისტერიკული გადარგვის პროცესს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ისე წავიდა თანამდებობიდან, რომ მიზეზები ვერ გავიგეთ. ადამიანები შემოჰყავთ პოლიტიკაში, შემდეგ უშვებენ პოლიტიკიდან. რატომ მოვიდა ახლანდელი მთავრობის თავმჯდომარე ამ პოსტზე, რა დამსახურებისთვის? საზოგადოებამ ვერაფერზე პასუხი ვერ მიიღო. ჩვენ არ გვინახავს აჭარის უმაღლესი საბჭოს განცხადება არცერთ საკითხზე, გარდა იმისა, რომ მუდმივად იცავდნენ ბიძინა ივანიშვილისა და მთავრობის პოზიციებს და გაუთავებლად აპელირებდნენ „ნაციონალურ მოძრაობაზე“. როდესაც ხელისუფლებამ შიგნით სიჯანსაღე დაკარგა, ცხადია, მას აღარ ჰქონდა ადეკვატური რეაქცია, რაც ბოლო დღეებში კარგად ვნახეთ“.

არჩევნების შედეგები კი, რომელიც კენჭისყრის შეჯამების შემდეგ დადგა, არ იყო კონკრეტული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატისადმი გამოცხადებული მხარდაჭერა, არამედ უფრო პროტესტი იყო ხელისუფლების წინააღმდეგ — მიიჩნევს ბათუმის დემოკრატიის სკოლის კოორდინატორი თამარ მამეიშვილი:

„ამომრჩეველს დღეს არა აქვს რეალური არჩევანის საშუალება. ძალიან რთულია, მოძებნო ისეთი პარტია, რომელიც პირდაპირ უპასუხებს შენს ინტერესებს. სწორედ ამიტომ ამომრჩეველი თავის რეაქციას გამოხატავს ხელისუფლების მოწინააღმდეგე პარტიის მხარდაჭერაში. ეს არჩევნები სწორედ ეს იყო. აგრეთვე იყო გზავნილი ოპოზიციური პარტიების მიმართაც, იმიტომ, რომ ამომრჩევლის დაკვეთა ოპოზიციის გაერთიანება და ერთიანი კანდიდატის დასახელება იყო, და ახლაც მიუთითებს, რომ მოახერხონ ერთიანი მყარი პლატფორმის შექმნა არსებული მმართველობის წინააღმდეგ“.

ქალაქ ბათუმის მაგალითზე კი, სადაც ხელისუფლების მხარდაჭერილმა კანდიდატმა წააგო, თამარ მამეიშვილი ფიქრობს, რომ წინა ხელისუფლების დროს დაწყებული ქალაქის ურბანული განვითარების პოლიტიკა, რომელიც მოქალაქეებისთვის არ იყო მისაღები, 2012 წელს შეცვლილი ხელისუფლების პირობებშიც გაგრძელდა:

„ქართულ ოცნებას“ 2012 წელს იმიტომ დაუჭირა მხარი ამომრჩეველმა, რომ ამ პოლიტიკის შეცვლაც ისურვა, თუმცა ეს პოლიტიკა გაგრძელდა უფრო დიდი მასშტაბებით და ამას მოჰყვა ხელისუფლების უკომპრომისო პოზიციები ამ ყველაფრის მიმართ. შეიძლება ითქვას, არაადეკვატურიც იყო ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის ეკონომიკური ფონი, რაც არის ქალაქში“.

სამოქალაქო აქტივისტი შოთა გუჯაბიძე ფიქრობს, რომ ბათუმელები საპროტესტო აქციებზე ნაკლებად გამოხატავენ პროტესტს, თუმცა რადიკალურ გადაწყვეტილებებს იღებენ სწორედ საარჩევნო ყუთებთან. შოთა გუჯაბიძე იხსენებს, რომ სწორედ ასე შეიცვალა ასლან აბაშიძის ხელისუფლებაც და რევოლუციით მოსული ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაც, რასაც, მისივე თქმით, თავისი მიზეზები აქვს:

„სააკაშვილის წასვლა იმანაც განაპირობა, რომ ბათუმი აღარ იყო ის, რაც ჩვენ ვიცოდით. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჰაერი აღარაა, შუქი აღარ შემოდის ფანჯრებში და სასიცოცხლო გარემო აღარაა კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი, არამედ ადამიანისთვის აღარაა ქალაქი და ადამიანი დაკარგულია აქ. რამდენიმე დღის წინათ გამოვიდა ბათუმელების არცთუ მცირე ნაწილი და თქვა, აღარ გვინდა ასეთი ქალაქიო. ეგრევე მოგვაკერეს პოლიტიკური ინტერესი და მართულები გვიწოდეს“.

გამოსავლის ძიების ნაცვლად კი ხელისუფლება კიდევ უფრო დიდ შეცდომებს უშვებს — მიიჩნევს **ᲨᲝᲗᲐ ᲒᲣᲯᲐᲑᲘᲫᲔ,** რომელიც ამბობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურისთვის ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება ამომრჩევლის დარწმუნება.

ᲔᲙᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

ᲗᲣ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ!

ᲐᲛᲘᲡ **შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გედევან ფოფხაძემ არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, არსებობს რევანშისტული განწყობები.**

მისივე განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ გამარჯვების შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებას და ვანო მერაბიშვილის და ბაჩო ახალაიას ციხიდან გამოშვებას გეგმავს. მისივე თქმით, ეს ყველაფერი მიმართული იქნება იმ პოლიტიკური ოპონენტების ლიკვიდაციისკენ, რომლებიც სააკაშვილისთვის პრობლემას წარმოადგენენ.

ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲬᲛᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲨᲢᲐᲑᲖᲔ

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲫᲔ **გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის წევრებზე თავდასხმის საქმეზე შსს-მ გამოძიება დაიწყო. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით დაიწყო, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ხულიგნობას ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან ან იარაღიდან სხვა საგნის გამოყენებით, გულისხმობს.**

შეგახსენებთ, საარჩევნო შტაბის უფროსი აშოტ რაისიანი თავდამსხმელებმა ხელკეტებით სცემეს. დაშავებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა კლინიკაში გადაიყვანეს.

თბილისის აღიარებული ტრუბადური

რა თილისმა-საიდუმლო თუ მუსიკალური „მუღამი“ ჰქონდა ამ ნიჭიერ კაცს?! ან რატომ იყო, რომ ასე ადვილად მკვიდრდებოდა მსმენელის არსებაში გიორგი ცაბაძის სიმღერები? აქ პასუხი ერთმნიშვნელოვანია: მის სიმღერებში აშკარად მოჩანს დიდი გულწრფელობა, ფეთქავს ემოციური იმპულსები, შემოქმედებითი შთაგონება, იგრძნობა კომპოზიტორის შეუდარებელი ეროვნული ბუნება. მისი სიმღერის საყრდენი ხალხური ჰანგია, უფრო ზუსტად კი ქალაქური კილო, რომლის სულ უბრალო, უპრეტენზიო მელოდიაშიც იგრძნობა ქალაქური სურნელი.

ცაბაძის მუსიკა თავისი შინაარსით სახასიათო, მრავალფეროვანი და უზადოა! გადმოსცემს ფაქიზ ლირიზმს, ამავე დროს არის არაჩვეულებრივად პოპულარული. მისი ჰანგები ქართული ყოფიერების ორგანული ნაწილი გახლდათ, რომელიც საოცრად შეიყვარა და გაითავისა ქართველმა (არა მარტო) მსმენელმა.

გიორგი ცაბაძე 1924 წელს დაიბადა თბილისში. იგი თავიდანვე, ჯერ კიდევ ჭაბუკი, სიმღერით მტკიცედ, ბეჯითად შემოვიდა ქართულ სინამდვილეში. ეს იყო პერიოდი, როდესაც ქართული ესტრადა გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა, არ იყო მყარი ტრადიცია, რა დროსაც იოლი იქნებოდა გზის გაკვლევა. გოგი ცაბაძე ერთ-ერთი პირველთაგანია, რომლის მუსიკალური შემოქმედება ჯერ კიდევ გაუკვალავ, სრულიად ყამირ ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა, რითაც უდიდესი სამსახური გაუწია ქართული საესტრადო მუსიკის ეროვნული სულისკვეთების მიგნებას, მის ჩამოყალიბებას. საგულისხმოა ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1943 წელს, თბილისის 27-ე საშუალო სკოლაში სრულიად ახალგაზრდა თენგიზ აბულაძე დგამს ვალერიან გაბუნიას პიესას „და-ძმა“, სპექტაკლს, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, მუსიკალურად მას აფორმებს ასევე სრულიად ახალგაზრდა გოგი ცაბაძე. ასე რომ, მუსიკისადმი ლტოლვა, ინტერესი და სიყვარული მას ბავშვობიდანვე დაჰყვა. 13 წლის ასაკში ფეხდაზიანებულ გოგის რომ ჰკითხეს — რა მოგიტანოთო? მან ფორტეპიანო დაასახელა. ნიჭიერებისა და დიდი მონდომების შედეგად მან პირველდაწყებითი მუსიკალური სკოლა ექსტერნად დაამთავრა: შვიდი კლასი ორ წელიწადში გაიარა, რაც თავისთავად იშვიათობას წარმოადგენდა.

გოგი ოქროსუბანში ცხოვრობდა. მაშინ მუსიკაზე სიარული ქუჩის ბიჭებისთვის „გრეხად“ ითვლებოდა, ამიტომ იგი ნოტებს პერანგის ქვეშ მალავდა და ისე დადიოდა სამეცადინოდ, ერთ-ერთი შემთხვევის დროს უბნის ყოჩად აღიარებული „კაროს“ შეკითხვაზე — რას მალავ, უბეში რა გიდევსო? გაირკვა, რომ მუსიკალური ნოტები იყო, უბნის ბიჭებმა მისი შემოწმება გადაწყვიტეს, ფორტეპიანოზე დაკვრა მოსთხოვეს. გოგიმ „ჟიურის“ გამოცდა წარმატებით ჩააბარა, რის შემდეგაც მას ნოტების ღიად ტარების უფლება მიეცა.

ამის შემდეგ იგი თბილისის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში შედის, სადაც მისი კომპოზიციის პედაგოგი შალვა მშველიძე იყო. სახელმწიფო კონსერვატორიაში კი ცაბაძე იონა ტუსკიას კლასში სწავლობდა. ამ პერიოდში იგი უკვე წერს პატარ-პატარა მუსიკალურ ნაწარმოებებს და პარალელურად სახელმწიფო ფილარმონიის მიერ დაგეგმილ კონცერტებში იღებს მონაწილეობას, როგორც კონცერტმაისტერი, რის გამოც ხშირად უწევდა გასტროლებზე სიარული. ეს თავისთავად ხელს უშლიდა კონსერვატორიაში მის სწავლას, რისთვისაც ამ სასწავლებლის მაშინდელმა რექტორმა და გოგის უშუალო პედაგოგმა იონა ტუსკიამ მას ულტიმატუმი წაუყენა — ან გასტროლები, ან კონსერვატორია! როდესაც მან აუხსნა, რომ იგი იყო დედის ერთადერთი მარჩენალი, დედისა, რომელიც შერაცხილი იყო, როგორც „მავნებლის“ მეუღლე და აკრძალული ჰქონდა მუშაობა, რექტორისავე რჩევით ცაბაძე იღებს აკადემიურს. ამიტომ მოხდა, რომ მან საკომპოზიტორო კლასი მოგვიანებით, 1956 წელს დაამთავრა.

1956-75 წლებში იყო საქართველოს ფილარმონიის საესტრადო მუსიკის განყოფილების გამგე. 1961 წლიდან იგი საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის წევრია. 1976 წლიდან ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საცირკო- საესტრადო სასწავლებელში, 1980 წლიდან საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში მუსიკალურ გადაცემათა რედაქტორ-კონსულტანტის თანამდებობა ეკავა.

ფასდაუდებელია გიორგი ცაბაძის ღვაწლი ქართული მუსიკალური კომედიის, ოპერეტის და მიუზიკლის ტრადიციების დამკვიდრების საქმეში. იგი ამ ჟანრის 20-მდე ნაწარმოების ავტორია, მათი უმრავლესობა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე დაიბადა და დიდი როლი შეასრულა ამ თეატრის წარმატებებში. ასეთებია ოპერეტები: „სიმღერა სიყვარულზე“, „ჩვენი ნაცნობები“, „ტრფობის ბადეში“ , „შავი ზღვა და თეთრი ღამეები“, „ჩემი ქუჩა“, „კურკას ქორწილი“, „იეთიმ გურჯი“, „მეტეხის ჩრდილში“, „შესანიშნავი სამეული“; მიუზიკლები: „თოვლიანი მთების მელოდია“, „სანამ ურემი გადაბრუნდება“, „იტალიური რომანი“, „ჩემი შეშლილი ძმა“, „დაქორწინდი ნუცაზე“ და უამრავი სხვა. მის მომხიბლავ მუსიკაში პოეტური ასახვა პოვა ძველი და ახალი თბილისის თემამ, მისმა ფართოდ გამოხატულმა კოლორიტმა.

გიორგი ცაბაძეს უდავოდ ქართული საესტრადო მუსიკის დამაარსებელთა შორის ვხედავთ. მას არასოდეს უღალატია თავისი მრწამსისათვის, თავისი პრინციპებისათვის, არ აჰყოლია მოდას, რაიმე წაბაძვის ცდუნებას, ბოლომდე დარჩა გამოკვეთილად ინდივიდუალური, დამოუკიდებელი ხელწერის და მიმართულების კომპოზიტორად. ყველაფერმა ამან კომპოზიტორის სიმღერებს განსაკუთრებული ეშხი და ლაზათი შესძინა. ამის შესახებ იგი წერდა: „სპეციალურად არ მისწავლია ქართული ქალაქური ფოლკლორის არც ერთი ნიმუში, მაგრამ მისი ჰანგები მუდამ ცოცხლობენ ჩემში და ახალ მუსიკალურ სახეებს ბადებენ.“ უნდა ითქვას, რომ ამით კომპოზიტორმა მიაგნო საესტრადო მუსიკის საფუძვლებს და ბოლომდე გაჰყვა მას. მან „ძველი თბილისის“ კოლორიტული მუსიკალური სახეები საესტრადო ჟანრთან შეახამა და მივიღეთ სრულიად ახალი სახის მეტად საინტერესო მუსიკალური სინთეზი.

მას ორასამდე სატრფიალო სიმღერა აქვს დაწერილი. ცაბაძე ამით რომანტიკული ბუნების ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება, თუმცა მის ზოგიერთ ნაწარმოებს თან ახლავს სამშობლოს პატრიოტული სევდა.

კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოები ვერ იქნება სრულყოფილი და საინტერესო, თუ მას სათანადო ტექსტი არ ახლავს. მას მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა ცნობილ პოეტ მორის ფოცხიშვილთან — „...მისი ლექსები ემოციურობით, მუსიკალურობით კარგად პასუხობენ საესტრადო სიმღერის მოთხოვნილებებს. იგი კარგად გრძნობს სიმღერის ბუნებას, ამიტომ ფოცხიშვილს ჩემს პოეტად ვთვლი“ — აცხადებდა კომპოზიტორი. ყველა მისი სიმღერა გულიდან წამოსული და გულშივე ჩამწვდომი, თბილისური ხიბლით გაჟღენთილია. „გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ“, „მთაწმინდის მთვარე“, „ქუჩა-ქუჩა“, „მეფაიტონე“, „პაწაწინა სამოთხე“, „ჩემო თბილისქალაქო“ და მრავალი სხვა, ხალხის ფართო ფენებმა გაითავისეს და თავისად მიიღეს, ხალხური გახდა... ცნობილია მისი სიმღერების ციკლი — „ჩემი სამშობლო საქართველოა“. დიდი აღიარება მოიპოვა მისმა მუსიკამ კინოფილმებისთვის — „ვერის უბნის მელოდიები“, „მხიარული რომანი“, „მოიტაცეს თამარ-ქალი“. ავტორია როგორც საგუნდო სიმღერების, ასევე მუსიკის დრამატული თეატრებისათვის. მის მუსიკას იცნობდნენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

სამწუხაროდ, ხშირად ერთნაირი პროფესიის ადამიანები არ საუბრობენ ერთმანეთზე. ცაბაძე თავისი კოლეგების ნიჭიერებას ყოველთვის ხმამაღლა გამოხატავდა. ასე, მაგალითად, რეზო ლაღიძეზე ამბობდა: „ღმერთების მუსიკას ხომ წერდა და ისეთი კაცი იყო — ქუჩებში რომ დადიოდა, ფეხს ფრთხილად ადგამდა, თბილისის ასფალტს არ ეტკინოსო“.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდხანს ცაბაძის მიერ შექმნილი მუსიკა კვებავდა და ასაზრდოებდა ქართულ ესტრადას, შემოქმედებით კოლექტივებს და ცალკეულ შემსრულებელს, ისეთებს, როგორიც საესტრადო ანსამბლები „რერო“ და „ორერა“, ასევე ცნობილი მომღერლები — ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, მერი შილდელი, ლილი გეგელია, გიული ჩოხელი, ვენერა მაისურაძე, ნაზი დუმბაძე და სხვები... თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტორი თავად იყო საკუთარი სიმღერების უბადლო შემსრულებელი.

გიორგი ცაბაძე თავისი შინაარსიანი და შთამბეჭდავი შემოქმედების კვალდაკვალ არასოდეს განრიდებია ცხოვრებისეულ მომენტებს. არ იყო ჩაკეტილი, მხოლოდ ინსტრუმენტს მიჯაჭვული ხელოვანი. უყვარდა მეგობრებთან ურთიერთობა, ზომიერ და ნორმალურ ქართულ სუფრაზე მათთან ერთად მოლხენა. მისი ყოფითი სიტუაციები სავსეა არაერთი კურიოზით თუ თავგადასავლით:

— როგორ დაიწერა სიმღერა „მუხამბაზი?“ თბილისის კოლორიტი, უნიჭიერესი ნიაზ დიასამიძე პლეხანოვზე არსებულ ფილარმონიაში გოგის ესტუმრა. გოგი ცოტა შეწუხებული დახვდა: ბიჭო, მთელი დღე ამეკვიატა მელოდია, მაგრამ სიტყვები ვერ მოვუძებნე.

— გოგი, წავიდეთ, ცოტა დავლიოთ და პირობას გაძლევ, ხვალ ლექსი აუცილებლად გექნებაო, — მიუგო ნიაზმა... მართლაც, ამის შემდეგ შეიქმნა ბრწყინვალე სიმღერა ბრწყინვალე სიტყვებით: „რა ვიღონო, რით ვუშველო იარებს...“

— მეტყევე კახი სიმონიშვილმა ჩაილურიდან გოგის შემოუთვალა: „შველი მყავს დაჭერილი და მწვადებზე გეპატიჟები მეგობრებთან ერთადო“. ადგილზე ჩასულებს მართლაც შველი დაბმული დახვდათ. იქვე კუნძზე ალესილი დანა იდო. გოგიმ შველი რომ დაინახა, გადაირია, ისე მოეწონა, მივიდა და მოფერება დაუწყო. თავი მოიკლა და არაფრით არ დააკვლევინა. ნოდარ ხუნწარიამ ვეღარ მოითმინა და გოგის უთხრა: — კარგი რა გოგი, ამხელა გზა გამოვიარეთ და შვლის მწვადი არ ვჭამოთ? — არა გრცხვენია, ნოდარ! სარკეში არ იყურები? მაგ სიფათის პატრონმა რა ნამუსით უნდა შეჭამო ასეთი ლამაზი და მშვენიერი არსებაო?! — მკაცრი ტონით უპასუხა ცაბაძემ...

ხელოვანის წარმატებას უცილობლად განაპირობებს, თუ ვინ იმყოფება მის გვერდით. კომპოზიტორს ყოველთვის გვერდში ედგა მეუღლე, შესანიშნავი ქალბატონი თამარ მაჭავარიანი, სპეციალობით ექიმი, მაგრამ დახვეწილი მუსიკალური გემოვნების მქონე, ცაბაძის მუსიკის პირველი შემფასებელი. შვილებიდან მხოლოდ კახამ გააგრძელა გოგის ტრადიცია, გოგლამ კი ბიოლოგობა არჩია.

ნამდვილმა ქალაქელმა დარბაისელი, სინდის-ნამუსიანი კაცის ცხოვრებით იცხოვრა, „თბილისელ კაცს თბილისურად მიყვარს შენი უბნები...“ გვახსენებს თავის დამოკიდებულებას კომპოზიტორი. ალბათ, სიმბოლურიცაა, რომ დიდი სიყვარულით გარემოსილი შემოქმედი „გული მღერის, სული მღერის, თქვენი მრავალჟამიერის...“ სიმღერით დაემშვიდობა თავის ხალხს, სცენიდან გავიდა და უკან ვეღარ დაბრუნდა, აღარ დასცალდა სამადლობელი გადაეხადა... ნაადრევად წავიდა თბილისის ტრუბადური, სამაგიეროდ, დაგვიტოვა მუსიკალური განძი, რომელიც დიდხანს, ძალიან დიდხანს იცოცხლებს ქართველი კაცის გონებაში. მას მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, იყო თბილისის საპატიო მოქალაქე, დაჯილდოებული იყო ხალხთა მეგობრობისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

გარდაიცვალა 1986 წელს 62 წლის ასაკში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გელა ქოქიაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.
ტ.: 551 49-19-97

სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ...

„სკანდინავიური სისტემა“ ყაზახეთში

ყაზახეთის განვითარებამ ახალ სიმაღლეებს მიაღწია და პოზიტიურ გაკვირვებას იწვევს პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული მრავალი კრიზისული მოვლენის ფონზე. საქმე არა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის დავალებით, 2019 წლის 1 იანვრიდან, ყაზახეთში მინიმალური ხელფასი 1.5-ჯერ გაიზრდება, 28 ათასი ტენგედან 42 ათას ტენგემდე (დაახლოებით 115 დოლარი), ანუ ეს ფული მხოლოდ თვიდან თვემდე გაჭირვებაში სამყოფად არ არის გამიზნული; ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა ყველა მიმართულებით ვითარდება, რაც მთავარია, იგი საკუთარი მომავლის ჩამოყალიბებას ახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე, განათლებასა და მეცნიერებაზე ზრუნვით. თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტს ყაზახეთი სწორედ ამ სფეროებს ახმარს, რაც მხოლოდ განვითარებული სახელმწიფოების მახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

ამიტომ ერის ლიდერ ნაზარბაევს შეუძლია, გამოაცხადოს ქვეყნის მოდერნიზაციის მესამე ეტაპის დასაწყისი, ხოლო ექსპერტები მსოფლიოში სახელგანთქმულ „სკანდინავიურ მოდელზე“ ყაზახეთის გადასვლის შესახებ ალაპარაკდნენ.

პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ქვეყნის ახალი სტრატეგია წარმოადგინა, რომლის მთავარ პრიორიტეტებად მან მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდა, შემოსავლების დონის ამაღლება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება დასახა.

ყაზახეთს ღირსეული ადგილი უკავია სოციალური განვითარებისა და კეთილდღეობის საერთაშორისო რეიტინგში (The Legatum Prosperity Index). სიაში 72-ე ადგილი ზუსტად შუა პოზიციაა მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის, მაგრამ საუკეთესოა ყოფილი სსრკ-ის ყველა ქვეყანას შორის. რაც შეეხება განათლების ხელმისაწვდომობასა და ხარისხს, ბოლო წლის მანძილზე ყაზახეთმა 11 პუნქტით აიწია მაღლა და მსოფლიოში 35-ე ადგილზეა ამ მაჩვენებლით.

ყაზახეთის დინამიკა ამ რეიტინგში ასახავს იმ ხარისხობრივ ცვლილებებს, რომლებიც ამ ქვეყანაში მოხდა ბოლო ათწლეულების მანძილზე. ყაზახეთი გეგმაზომიერად მიდის სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ, რომელიც პირველ რიგში საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად და მხოლოდ ამის შემდეგ — რაიმე პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებას. პრიორიტეტი ენიჭება სოციალურ დაცულობასა და სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას. ეს, თავის მხრივ, დაადასტურა ნურსულთან ნაზარბაევმა ხალხისადმი თავის ამასწინანდელ მიმართვაში.

ჯანსაღი ცხოვრების წესი ყაზახეთში აყვანილია ეროვნული იდეოლოგიის რანგში. ქვეყანაში იგეგმება ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი კომპლექსების მასშტაბური მშენებლობა, საავადმყოფოებისა და ჰოსპიტლების სრული მოდერნიზაციის ჩატარება და წყლისა და კვების პროდუქტების ხარისხზე კონტროლის უპრეცედენტო ამაღლება.

ყაზახეთი ასევე ცვლის თავის მიდგომას განათლების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი მოდელიც წარმატებით მუშაობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მაჩვენებლით ყაზახეთი მსოფლიო რეიტინგში საუკეთესო 35 ქვეყანას შორისაა. მაგრამ ყაზახელები არ კმაყოფილდებიან რეიტინგული მაჩვენებლებით, მათ რეალური საქმეები იზიდავთ, ამიტომ ისინი არ ჩერდებიან მიღწეულზე. ასე, მომავალი კვალიფიციური კადრების მომზადება უკვე საბავშვო ბაღიდან დაიწყება, სკოლები გადავლენ საერთაშორისო სტანდარტებზე, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების შეფასება მოხდება არა „ვარსკვლავური“ მასწავლებლების რაოდენობის ან სწავლის საფასურის მიხედვით, არამედ იმით, თუ რამდენად პოულობენ ამა თუ იმ სასწავლებლის კურსდამთავრებულები სამუშაოს.

ახალი სახლების მშენებლობა, შეღავათიანი იპოთეკა, კომფორტული საქალაქო გარემო და ქუჩებში უსაფრთხოების გაძლიერება — ყველა ეს ასპექტი უახლოეს წლებში უნდა გადაიქცეს ყაზახეთის ახალი სოციალურ-ეკონომიკური სურათის შემადგენელ ნაწილად. ყაზახეთში უზარმაზარ მხარდაჭერას აღმოუჩენენ ბიზნესის განვითარებას. საკუთარი საქმის გახსნა ყაზახეთის ტერიტორიაზე მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე უფრო მიმზიდველია. საგადასახადო ამნისტია, შეღავათიანი კრედიტები და შემოწმებების არარსებობა დამწყებ ბიზნესმენებს აძლევს საშუალებას, ფეხი აიდგან და მალევე გაძლიერდნენ. ამჟამად მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ქვეყნის მშპ-ში შეადგენს 30 პროცენტს, ხელისუფლების გეგმაა, რომ ეს ციფრი 50 პროცენტამდე გაიზარდოს.

მშპ-ის დარჩენილი წილის შევსება ყაზახეთში იგეგმება არა იმდენად ნავთობის შემოსავლებიდან, თუმცა ნავთობის ფასი ისევ იზრდება და ჩნდება ცდუნება, ამოღებულ იქნას მეტი ნავთობი და მიღებულ იქნას მეტი შემოსავალი. მაგრამ ასტანაში არასოდეს ყოფილან „ჰოლანდიური ავადმყოფობით“ დაავადებულნი და ფსონს არ დებდნენ ეკონომიკის მხოლოდ ერთ სექტორზე. ყაზახეთი სოფლის მეურნეობასა და გადამმუშავებელ წარმოებაზე ამყარებს იმედს. შემდგომი სამი წლის მანძილზე დამატებითი ფული ჩაიდება ამ სფეროების განვითარებისათვის, დაახლოებით მილიარდნახევარი დოლარი. გარდა ამისა, ყაზახეთში შეიქმნება პირდაპირი ინვესტიციების ფონდი, რომელიც არანედლეულის სექტორში იმუშავებს და დაეყრდნობა უცხოელი ინვესტორების თანაინვესტირების პრინციპს.

ეს ღონისძიებები, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ახალი სტაბილური წყაროების შექმნას, სტიმულს მისცემს ინვესტიციების ნაკადს და ხელს შეუწყობს ბაზრის თავისუფლებას. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, უშუალო გავლენას იქონიებს მოქალაქეთა კეთილდღეობისა და მათი შემოსავლების დონის ზრდაზე, რაც ყაზახეთის ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ცვლილებების საბოლოო მიზანს წარმოადგენს კიდეც.

სოციალური სახელმწიფოს ის მოდელი, რომლის შემუშავებაც მიმდინარეობს ყაზახეთში, სავსებით სამართლიანად შეიძლება იწოდოს „სკანდინავიურად“. ამ მოდელზე ხშირად საუბრობენ, როგორც კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ელემენტების ყველაზე უფრო წარმატებულ სიმბიოზზე. მოდელის საფუძველს კაპიტალიზმი წარმოადგენს, რომლის სუსტი მხარეები სოციალიზმის პრაქტიკის საუკეთესო ნიმუშებით არის გასწორებული. სისტემა მთლიანობაში მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ მთელი მოსახლეობის კეთილდღეობისკენ. შემთხვევითი როდია, რომ სკანდინავიური ქვეყნები — დანია, შვედეთი, ფინეთი და ნორვეგია ყველაზე მოწინავეები არიან დედამიწაზე კეთილდღეობისა და მოსახლეობის ბედნიერების ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ეკონომიკის სტაბილობა, სოციალური მობილობა, საყოველთაო დასაქმება, განათლებისა და ჯანდაცვის ერთნაირი ხელმისაწვდომობა, სიმდიდრეების გადანაწილება — ის მახასიათებელი ნიშან-თვისებებია, რომლებიც მოიპოვეს სკანდინავიურმა ქვეყნებმა და რომელთა მოპოვებასაც ამჟამად წარმატებით ცდილობს ყაზახეთი, რომელიც სოციალური სახელმწიფოს საკუთარ, უნიკალურ მოდელს ქმნის, ისტორიული წარსულისა და მსოფლიო მასშტაბით ჯერ კიდევ მოკრძალებული დამოუკიდებლობის გამოცდილების გათვალისწინებით.

რევაზ გიორხელიძე

მსურს, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კვლავ ჰილარი კლინტონს შეებრძოლო

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ სურს, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კვლავ ყოფილ სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს შეებრძოლოს. ამის შესახებ ტელეარხი Fox News იუწყება.

„მე ის მომწონს. მე დემოკრატიული პარტიის ყველა კანდიდატი მომწონს. ვერ ვხედავ ვინმეს, ვისთანაც არჩევნებზე მეტოქეობა არ მსურდეს“, — განაცხადა ტრამპმა. მანამდე ჰილარი კლინტონმა გამოცემა Recode-თან ინტერვიუში არ გამორიცხა, რომ 2020 წელს კვლავ იყაროს კენჭი აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე.

„ვაპირებ, ყველაფერი გავაკეთო, რაც შემიძლია, რათა 2021 წლის იანვარში თეთრ სახლში დემოკრატი შევიდეს“, — განაცხადა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა.

მერკელი პოლიტიკიდან მიდის

ანგელა მერკელის თქმით, ის 2021 წელს პოლიტიკიდან მიდის. მის შესახებ გერმანიის კანცლერმა, ქრისტიანდემოკრატიული კავშირის ლიდერმა ანგელა მერკელმა თანაპარტიელებს გამოუცხადა. მისი თქმით, ის კანცლერის

თანამდებობაზე ამჟამინდელი ვადის ამოწურვის შემდეგ არც კანცლერად დარჩენას და არც პარლამენტის წევრობას აღარ აპირებს.

კანცლერის განცხადება მოჰყვა ბოლო კვირების რეგიონულ არჩევნებში მისი პარტიის მაჩვენებლების მკვეთრად გაუარესებას. მერკელი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე 2000 წლიდან, ხოლო გერმანიის კანცლერი 2005 წლიდან არის.

ავიაკატასტროფა ინდონეზიაში — დაღუპულია 189 მგზავრი

29 ოქტომბერს ინდონეზიაში კატასტროფა განიცადა ავიაკომპანია Lion Air -ის სამგზავრო თვითმფრინავმა ბოინგ 737-მა. მასში 189 ადამიანი იმყოფებოდა. ინდონეზიის ხელისუფლების ინფორმაციით, სამგზავრო თვითმფრინავთან კავშირი ჯაკარტის აეროპორტიდან აფრენიდან 13 წუთში შეწყდა.

ბოინგი კუნძულ იავის დასავლეთ სანაპიროსთან ზღვაში ჩავარდა. კატასტროფის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. თვითმფრინავი შიდა რეისს ასრულებდა ჯაკარტიდან ქალაქ პანკალინანგის მიმართულებით. ავიაკატასტროფის რაიონში სამძებრო-სამაშველო ოპერაცია მიმდინარეობს. სანაპიროსთან მაშველები ჩამოვარდნილი თვითმფრინავის შავ ყუთს ეძებენ.

ვენეციის ისტორიული ცენტრი 75 პროცენტით დაიტბორა

ვენეციის ისტორიული ცენტრი 75%-ით დაიტბორა, მას შემდეგ რაც 29 ოქტომბერს ქალაქში წყალმა ზღვის დონიდან 1,52 მეტრით აიწია. ეს მოხდა სეზონური მოვლენის გამო — აფრიკულმა ქარმა სიროკომ წყლის მასები ადრიატიკის ზღვიდან ვენეციის ლაგუნაში შეიტანა. მსგავსი მასშტაბის წყალდიდობა ქალაქში 2012 წელს დაფიქსირდა.

უამინდობაა იტალიის სხვა რაიონებშიც. ქვეყნის ჩრდილოეთით რამდენიმე რეგიონში საფრთხის წითელი დონეა გამოცხადებული, ბოლო მონაცემებით, წყალდიდობასა და ძლიერ ქარს 9 ადამიანი ემსხვერპლა.

„ძლევაც კი შეიძლება“!

საკუთარ თავთან დაბრუნება

ათიოდე წლის წინათ ბაზალეთის ტბასთან ნარკოდამოკიდებულ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის აშენება იგეგმებოდა. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს წარმოუდგინეს გრანდიოზული კომპლექსის პროექტი, სადაც ჩანაფიქრის თანახმად უნდა მომხდარიყო ბენეფიციართა მკურნალობა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. კომპლექსის მშენებლობა და ამუშავება სახელმწიფოს დაახლოებით 6,5 მილიონი ლარი უჯდებოდა. სიძვირის გამო აღნიშნული პროექტი შეჩერებული და მივიწყებული იქნა. მაგრამ სრულფასოვანი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის გარეშე ნარკოდამოკიდებულების საუკეთესო მკურნალობაც კი სასურველ შედეგს არ მოგვიტანს. არასამთავრობო სექტორი ყოველთვის ცდილობდა ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას. საკმარისია, გავიხსენოთ **თუნდაც ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „კამარა“ და სარეაბილიტაციო ცენტრი „თაბორი“**. ორი წლის წინათ კი ა/ო **„თანადგომამ“** გრემში დააფუძნა პირველი რეგიონული **ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო ცენტრი ნარკო და ალკოჰოლდამოკიდებულთათვის**.

„ჩვენი კარი ყოველთვის ღიაა!.. “

გრანდიოზული სარეაბილიტაციო კომპლექსების აშენებას საქართველოს ბიუჯეტი ვერ გაწვდება, მაგრამ მცირე რეგიონული ცენტრების ქსელის შექმნა სავსებით შესაძლებელია. ასეთი ქსელის უპირატესობა ისიცაა, რომ ტერიტორიული წვდომის პრობლემაც გადაწყდება. **გრემში** მოქმედი **სარეაბილიტაციო ცენტრი** ამ კუთხით „პირველი მერცხალია“. **პროექტის კოორდინატორმა ვაჟა კასრელიშვილმა** მსგავსი ცენტრების სისტემა 2001 წელს პოლონეთში იხილა. სწორედ მაშინ გაუელვა პირველად, აზრმა, რომ ეს მოდელი საქართველოშიც გაამართლებდა:

– წლების შემდეგ **უკრაინაშიც** დავრწმუნდი რა შედეგიანად შეიძლება მუშაობა ასეთი ტიპის ცენტრში. ახლა ვცდილობთ, ეს გამოცდილება საქართველოშიც გადმოვიტანოთ, ცხადია, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ცენტრი ორი წელია, რაც არსებობს. გზადაგზა ტექნიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს ვაგვარებთ. შენობა მხოლოდ გასული წლის სექტემბრისთვის გავარემონტეთ: მოვაწყვეთ საცხოვრებელი ოთახები, თითქმის დავამთავრეთ სველი წერტილების რემონტი. სამუშაოები ახლაც მიდის: მესამე სართულზე განთავსდება სპორტული დარბაზი და ბიბლიოთეკა. ცენტრი დებულების თანახმად ექვს მამაკაცზე და ოთხ ქალზეა გათვლილი, თუმცა დღემდე ქალბატონები არ გვყოლია. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მეტი მამაკაცი მივიღოთ. აქ მოსვლამდე სამკურნალო პროგრამები უკვე გავლილი უნდა ჰქონდეთ; ჩვენ კი ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე ვზრუნავთ. ცენტრში შრომითი და არტთერაპიის მეთოდებს ვიყენებთ. გვაქვს კერამიკული საამქრო და პატარა მეურნეობა, სადაც ცოტაოდენი ბოსტნეული მოგვყავს. მაინც სულ სხვაა, როდესაც მაგიდაზე საკუთარი ხელით მოწეული პამიდვრით გაკეთებული სალათი გიდევს; ესეც თერაპიის ნაწილია. სამომავლოდ ვაპირებთ, მეფუტკრეობის მეურნეობა გავმართოთ და ქათმები მოვაშენოთ. უკვე ოცდახუთ ბენეფიციარს აღმოვუჩინეთ დახმარება. ცენტრში ორი კვირიდან სამ თვემდე შეიძლება გაჩერება, მაგრამ რადგანაც ნარკოდამოკიდებულება ქრონიკული დაავადებაა, ჩავარდნის რისკის გაჩენისთანავე შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ – ჩვენი კარი ყოველთვის ღიაა. სამი-ოთხი შემთხვევა უკვე გვქონდა, როდესაც ადამიანმა სოციუმის წნეხს ვერ გაუძლო და მობრუნდა.

***ცნობისთვის**: ამჟამად ცენტრი „შიდსის ფონდი – აღმოსავლეთი და დასავლეთის“ ევროკავშირის დაფინანსებით ორ პროექტს ახორციელებს: ერთი გათვლილია ნარკო და ალკოჰოლდამოკიდებულ პირებზე; მეორე – ყოფილ პატიმრებსა და პრობაციონერებზე, რომელთა შორის ნივთიერებებზე დამოკიდებულიც არიან.*

„მნიშვნელოვანია, საკუთარი თავის რწმენა დავუბრუნოთ ...“

ნარკოდამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესში პიროვნების დესტრუქცია ხდება. ფსიქოლოგიური მუშაობის მთავარი მიზანი საკუთარ თავთან დაბრუნებაა, რაც საზოგადოებაში დაბრუნების, ანუ სოციალური რეინტეგრაციის აუცილებელი პირობა გახლავთ. **ფსიქოლოგი ელისო ჩაჩხიანი** კვირაში ორჯერ მოდის და მის ყოველ ვიზიტს ბენეფიციარები სიხარულით ელიან :

– ძალიან კეთილგანწყობილი და ჯანსაღი ატმოსფეროა შექმნილი; უკვე ერთი დიდი ოჯახივით ვართ. რომ ვთქვა – მაშინვე იხსნებიან-მეთქი – ზღაპარი იქნება. ამ შემთხვევაში ჯგუფური თერაპია გვეხმარება. ცენტრში „12 ნაბიჯის“ პროგრამა მოქმედებს; გახსნილობისა და ნდობის მომენტების გამო ყველაზე მეტად სწორედ ეს მეთოდი მოსწონთ. ამის შემდეგ დიდი ძალისხმევა აღარც მჭირდება – ჩაღრმავებულ ინდივიდუალურ თერაპიაზეც მოდიან. ძალიან მოტივირებულნი არიან და უნდათ, რომ მოუსმინონ, რაც ფსიქოთერაპიის მთავარი პირობაა. გარდა ამისა ბიჰევიორისტული მეთოდის გამოყენებით ვცდილობთ, დესტრუქციული ქცევა კონსტრუქციულით ჩანაცვლოთ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება შრომითი თერაპია. ცენტრში დღის წესრიგი გაწერილია. ძალიან მნიშვნელოვანია რომ საერთოდ არ დარჩეს თავისუფალი დროის მონაკვეთი, რომელიც რამე სასარგებლო საქმიანობით არ იქნება შევსებული. გარე სამყარო კი მოწესრიგებული და კეთილგანწყობილი ნამდვილად არ არის, ხოლო ნარკოდამოკიდებულებს აღიქვამს როგორც საეჭვო დამნაშავეებს, რომელთაგანაც არც კი იცის, რას უნდა ელოდოს. სტიგმის გარდა სოციალურ რეინტეგრაციას დასაქმებასთან დაკავშირებული სიძნელეები ართულებს; ზოგს საბუთი არა აქვს წესრიგში და სოციალური დახმარებაზეც ხელი არ მიუწვდებათ. ამიტომ ცენტრიდან გასვლის შემდეგ ხანდახან ჩავარდნები მოსდით და უკან ბრუნდებიან, რათა საკუთარ თავზე მუშაობა გააგრძელონ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ადამიანებს საკუთარი თავის რწმენა დავუბრუნოთ. ცენტრში ოფიციალური ვიზიტების გარდა ჩემი ტელეფონი ყოველთვის ჩართულია და ყოველ წუთში მზად ვარ მოსასმენად და მხარდაჭერის აღმოსაჩენად.

ფსიქოლოგ ელისო ჩაჩხიანს მართლაც ურთულესი მისია აკისრია. ცენტრის ყოველ ბენეფიციარს საკუთარი ისტორია და ტკივილი აქვს. **42 წლის ნოდარი** თ. სპეციალობით ეკონომისტია. ნარკოტიკებზე მიჯაჭვულობა ოჯახისა და სამსახურის დაკარგვად დაუჯდა. ახლა პროფესიის დაბრუნებაზე ფიქრობს და დარწმუნებულია, რომ ძველ ცხოვრებას კარი სამუდამოდ მიუხურა:

– 23 წლის ვიყავი ნარკოტიკის მოხმარება რომ დავიწყე. მივედი ერთხელ ბიჭებთან, ვნახე რომ ჰეროინს მოიხმარდნენ და ვუთხარი – მეც გამასინჯეთ-მეთქი. ეს ყველაფერი ათი წელი გაგრძელდა. ვცდილობდი, მემკურნალა, მერე ვუბრუნდებოდი. ბოლოს ჯეფი გავიკეთე და ისე ცუდად გამხადა, რომ რვა წელი საწოლში გავატარე. თავიდან ცენტრში ერთი თვე ვიყავი. მერე გავედი და გარკვეული ხნის შემდეგ მობრუნება მომიხდა; ჩავარდნისგან არავინაა დაზღვეული. აქ თავს ბევრად უკეთესად ვგრძნობ. ამჯერადაც ერთი თვე გავჩერდები; მერე ვნახოთ. მთავარია, ისევ იმ სიტუაციაში და იმ წრეში არ მოვხვდე.

38 წლის გიორგი ლაზარიაშვილს ძმა დაეღუპა და სასმელში ჰპოვა შვება. ცენტრში მოსვლა ურჩია მეზობელმა, რომელმაც აქ გარკვეული პერიოდი გაატარა. გიორგისთან ფსიქოლოგიური მუშაობის მთავარი ამოცანა სტრესოგენური სიტუაციების მიმართ ფსიქოლოგიური მდგრადობის გამომუშავებაა:

– ცენტრში ორჯერ მომიწია დაბრუნება და ჩავარდნა ორივეჯერ ტრავმაზე მომივიდა. პირველად რომ გავედი, ბრიგადაში ვმუშაობდი და შესვენებაზე ბიჭები სასმელს სვამდნენ, მე კი კოკა-კოლას. წარმოიდგინეთ, სიგარეტსაც კი თავი გავანებე. რაღაც უკიდურესი ტრავმა თუ არ მივიღე, სასმელისკენ არც ვიხედები. ძალიან კმაყოფილი ვარ, მეზობელს რომ დავუჯერე. აქ თავს კარგად და მშვიდად ვგრძნობ. განსაკუთრებით კერამიკულ საამქროში მუშაობა მომწონს: რაღაც ლამაზ ნივთს რომ ვაკეთებ გულს ვაყოლებ და სასმელის მონატრებაც ქრება. რაც აქ გამოცდილება მივიღე, აუცილებლად გამომადგება, რომ მომავალში საკუთარი თავი და ცხოვრება ვაკონტროლო.

ცენტრის ბენეფიციარი გოჩა დიასამიძესაც ძალიან უყვარს კერამიკის სახელოსნოში საქმიანობა, ანუ, როგორც თავად ამბობს – არაფრისგან სილამაზის შექმნა. **კერამიკის ხელოვნების მასწავლებლის თემურ კევლიშვილის აზრით,** გოჩა განსაკუთრებული ნიჭითა და მდიდარი წარმოსახვითაა დაჯილდოებული. თავად კი მიაჩნია რომ უნარები დედისგან გამოჰყვა. ყოველთვის უნდოდა ამ კუთხით ესწავლა, მაგრამ ვერ მოახერხა და კერამიკის სახელოსნოში ათვისებული უნარები მისთვის დაუფასებელ გამოცდილებად იქცა. ახლა ნარკოტიკის გახსენებაც კი აღარ უნდა.

ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული

ცენტრის ბენეფიციართა დიდი ნაწილი უკვე ოცდაათ წელს გადაცილებულია. უმრავლესობას რაღაც ტიპის პროფესია თუ აქვს, ცხოვრების წესის გამო დიდი ხანია, დაკარგეს, რაც მათ სოციალურ რეინტეგრაციას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. სამომავლოდ კარგი იქნებოდა ცენტრში პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის დანერგვა, რომლის ფარგლებში ბენეფიციარები შრომის ბაზარზე მოთხოვნად სხვადასხვა ხელობას აითვისებდნენ. ამის გამოცდილება არასამთავრობო სექტორში უკვე არსებობს; მაგალითად, **სენაკის სათემო განათლების ცენტრში,** რომელიც ა/ო **„ზრდასრულთა განათლების ქსელის“** მიერაა დაფუძნებული, 2016 წელს განხორციელდა პროექტი „ახალი შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის“. მის ფორმატში რამდენიმე ნარკოდამოკიდებულმა მამაკაცმა პიროვნული განვითარებისა და პროფესიული სწავლების კურსები გაიარა. პიროვნულ განვითარებაში იგულისხმება პიროვნული რესურსების მაქსიმიზაცია, რასაც ახორციელებენ ფსიქოლოგი და სოციალური უნარების ტრენერი. პროექტის დასრულების შემდეგ, ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ისინი **კომპანია „თერმაში“** ელექტროტექნიკოსებად მიიღეს და დღესაც წარმატებით საქმიანობენ.

***საინტერესო დეტალი**: სათემო განათლების რეგიონული ცენტრების ხელმძღვანელებს მაია ჭანტურიას (ჯვარი), ნონა ქადარიას (სენაკი) და მადონა ოქროპირიძის (ცოდა) აზრით, სამომავლოდ კარგი იქნებოდა ნარკოდამოკიდებულთა სამიზნე ჯგუფზე მიმართული სპეციალური პროექტის განხორციელება.*

ზემოაღნიშნული გამოცდილება შეიძლება ნარკომომხმარებლების სარეაბილიტაციო სისტემაშიც წარმატებით იქნეს დანერგილი. პროფესიული უნარების დამადასტურებელი სერტიფიკატი და **ა/ო „თანადგომის“** რეკომენდაცია საიმედო საგზური გახდებოდა გრემის ცენტრის ბენეფიციართა სოციალური რეინტეგრაციისთვის. აი, რას ამბობს ამ საკითხზე **ა/ო „თანადგომის“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო წერეთელი**:

– პროგრამა თერაპიული მეთოდებით დახუნძლული, მაგრამ აგრეთვე ურთიერთშემავსებელი და მთლიანი უნდა იყოს. პიროვნული განვითარების პროგრამებზე ჯერ არ გვიფიქრია, თუმცა კარგი აზრია და ადვილად შესაძლებელია, რაღაც ეტაპზე ეს კიდეც განვახორციელოთ. როდესაც რაღაც ახალი შემოგვაქვს, ყოველთვის ვცდილობთ, დავაზუსტოთ, არსებობს თუ არა მსოფლიოში ამის გამოცდილება და რა შედეგი მოიტანა. ანუ სიახლეებს ფრთხილად ვნერგავთ, რათა მართლაც ღირებული რამე გავაკეთოთ და შემდგომ მთელი საქართველოს მასშტაბითაც სამოდელო გამოდგეს.

დღესდღეობით გრემის ცენტრში დღის წესრიგის უპირველესი ამოცანა რემონტის დასრულება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. **ვაჟა კასრელიშვილი** აღნიშნავს, რომ სიახლეების კუთხით ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული:

– პერსპექტივაში გვაქვს სოციალური საწარმოს ორგანიზების იდეა, რომელიც ცენტრს შემოსავალს და ფინანსურ დამოუკიდებლობას მოუტანს. მეფუტკრეობა-მეფრინველეობა და სასათბურე მეურნეობა მაქვს მხედველობაში. აქვე გრემში წარმატებით მოქმედებს უნარშეზღუდული ბავშვების პანსიონის ბაზაზე დაფუძნებული სოციალური საწარმო, სადაც ეკოლოგიურად სუფთა ღვინო მზადდება და ეკონომიკური მოგებაც აქვთ. შემოსავალი ბენეფიციარებისთვის ნორმალური მდგომარეობის შექმნას ხმარდება. მაგრამ გრემის პანსიონი უკვე ოცი წელია, ფუნქციონირებს, ამასთან ბევრი სიახლე იაპონიის საელჩომ დაუფინანსა. ჩვენც სამჯერ შევიტანეთ საგრანტო განაცხადი, მაგრამ უშედეგოდ. უნარშეზღუდული ბავშვების პრობლემებით ბიზნესმენს გულს ადვილად აუჩუყებ; ნარკოდამოკიდებულების კუთხით კი სტიგმა მუშაობს. ცხადია ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ: უკვე გვქონდა შეხვედრები სხვადასხვა ბიზნეს სტრუქტურასთან. „ვისოლისა“ და „აჭარა-გრუპის“ წარმომადგენლებმა გამოხატეს სურვილი, შეეტანათ წვლილი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სისტემის განვითარების საქმეში. ლაპარაკი იყო ყოფილი პატიმრების და ნარკომომხმარებლების დასაქმებაზე, თუნდაც ბენზინის ჩამსხმელის პოზიციაზე. მაგრამ სტიგმა აქაც მუშაობს: ცდუნებას რომ ვერ გაუძლონ, თანხა ჯიბეში ჩაიდონ და გაიქცნენ?! მოკლედ, უამრავი ბარიერია გადასალახი.

ეკონომიკის ექსპერტ იოსებ არჩვაძის განმარტებით, სწორი მენეჯმენტის პირობებში სოციალური საწარმო მომგებიანი ნამდვილად იქნება. მაგრამ აქ თავს იჩენს სხვა პრობლემა: რამდენად მოხერხდება მიღებული შემოსავლით ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ყველა საჭიროების დაკმაყოფილება? ფაქტია, რომ ბენეფიციარებს სპეციფიკური საჭიროებებიც აქვთ; იგულისხმება მრავალპროფილიანი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, რისთვისაც კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევაა საჭირო. ეს ყველაფერი კი სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ განვითარებულ ქვეყნებშიც კი (მაგალითად გერმანიაში) სოციალური საწარმოების დაფინანსების ორი წყარო არსებობს: საკუთარი ძალები და სუბსიდირება.

აუცილებელია სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება

გრემის „პირველი მერცხლის ჭიკჭიკი“ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის რეგიონული სისტემის სფეროში „გაზაფხულის“ დადგომას გვაუწყებს. **ა/ო „ჰეპა+“-ის ხელმძღვანელი მანანა სოლოგაშვილი** ამბობს, რომ მათი ორგანიზაციაც გეგმავს ქალაქგარეთ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის დაფუძნებას, რომელშიც აუცილებლად დაინერგება პიროვნული განვითარების მიმართულება. იმედია **„ზიანის შემცირების ქსელში“** გაერთიანებული სხვა ორგანიზაციებიც ნელ-ნელა შეუერთდებიან ამ ინიციატივას. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სფერო მხოლოდ მაშინ მოგვცემს საზოგადოებრივად ღირებულ ეფექტს, თუკი რეგიონებში გასული ფართომასშტაბიანი სისტემის სახეს მიიღებს და ამ სისტემაში სამკურნალო კომპონენტიც შევა. ეს ტერიტორიული წვდომის პრობლემას მოხსნის. განსაკუთრებით კი იმ რეგიონებში, სადაც ნარკომოხმარების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას.

ცხადია, დაფინანსების გარეშე ასეთი მასშტაბური ძალისხმევის განხორციელება შეუძლებელია. ყოველთვის დონორების იმედზე კი ვერ ვიქნებით. აუცილებელია სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება. ბიუჯეტის რაციონალურად დაგეგმვა-ხარჯვის შემთხვევაში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სისტემის სუბსიდირების თანხა აუცილებლად გამოიძებნება. არსებობს დაფინანსების სხვა წყაროც – ბიზნეს-კორპორაციები, რომლებიც ამ ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად ავლენენ მზაობას **კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის** გამოსავლენად; ანუ ნებაყოფლობით იღებენ დამატებით სოციალურ ვალდებულებებს არა მარტო საკუთარი თანამშრომლების, არამედ ზოგადად საზოგადოების მიმართაც. მაგალითად, **გორის სანერგე მეურნეობამ** წარმატებით შემოიტანა თავის საქმიანობაში სოციალური საწარმოს კომპონენტი და ყოფილი პატიმრები დაასაქმა. **კომპანია „თერმას“** წვლილზე ზემოთ ვისაუბრეთ.

ნარკოდამოკიდებულების დამარცხება ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის გარეშე შეუძლებელია. ამ მიზნის მისაღწევად ყველა არსებული ფინანსური რესურსი უნდა იქნეს გამოყენებული და ახალი რესურსებიც შეიქმნას.

მედეა გოგსაძე

◎ კონგრესი

თბილისმა ფორუმს უმასპინძლა

საქართველოში სპორტის მეცნიერების ისტორია გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. მის განვითარებას ხელი შეუწყო 1938 წელს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაარსებამ. ქვეყნის ერთადერთმა სასპორტო სასწავლებელმა განვლილ რვა ათეულ წელიწადში უდიდესი წვლილი შეიტანა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროსთვის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების, სამეცნიერო კადრებისა და უმაღლესი რანგის სპორტსმენების მომზადებაში.

განსაკუთრებულია სპორტის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და სპეციალისტების წვლილი ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური იდეებისა და ღირებულებების პოპულარიზაციაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში. ამიტომაც ერგო პატივი იუბილარ უმაღლეს სასწავლებელს, ემასპინძლა 22-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესისთვის — „ოლიმპიური სპორტი და სპორტი ყველასათვის“, რომელიც საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. როგორც სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ჯემალ ძაგანიამ** გვითხრა, ფორუმში 20 ქვეყნის 200-ზე მეტი მეცნიერი მონაწილეობდა, მათ შორის — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი კაირატ ზაკირიანოვი და საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ოლეგ მატიცინი.

კონგრესმა ექვსი მიმართულებით იმუშავა. მეცნიერები აქტუალური მოხსენებებით გამოვიდნენ სპორტის სფეროს კადრების მომზადებისა და გადამზადების პრობლემებზე, სპორტის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ ასპექტებზე, ბავშთა და მოზარდთა სპორტისა და სასპორტო რეზერვის მომზადების თანამედროვე საკითხებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკური მომზადებისა და სპორტში მათი ჩართულობის შესახებ. სტუმრებმა სესიებისგან თავისუფალ დროს თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს ღირსშესანიშნაობები დათვალიერეს.

ლექსო ცინცაძე

◎ არასპორტული დანაშაულის კვალდაკვალ

მამაევი ყინჩად არის, კოკორინი კი დათრგუნვილია

ოქტომბრის მიწურულს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ რუსეთის საფეხბურთო ნაკრების ორ ყოფილ წევრს — ალექსანდრე კოკორინსა და პავლე მამაევს პატიმრობაში ყოფნის ვადა გაუგრძელა.

შეგახსენებთ, რომ ორივე სპორტსმენი სისხლის სამართლის საქმის ფიგურანტია, რომელიც ცემისა და ხულიგნობის ფაქტებზეა აღძრული, რის შესახებაც ჩვენი გაზეთი ცოტა ხნის წინათ წერდა („სრ“ №211, 2018 წ. 23 ოქტომბერი). ამჟამად მოსკოვის ცნობილ ბუტირკის საგამოძიებო იზოლატორში ორივე განსასჯელი ჩვეულებრივ ორადგილიან საკნებშია მოთავსებული.

საქმის დიდი საზოგადოებრივი რეზონანსიდან გამომდინარე, სპორტული ჟურნალისტები ელოდნენ, რომ ფეხბურთელებს საგამოძიებო იზოლატორის სპეციალურ ბლოკში გადაიყვანდნენ, სადაც იზოლაციის საგანგებო პირობები და ვიდეოდაკვირვების სადღეღამისო რეჟიმია, თუმცა, ასე არ მოხდა. ამდენად, ამჟამად პავლე მამაევის საკნის მეზობელია ალიმენტების გამუდმებით არგადამხდელი, ალექსანდრე კოკორინის თანამოსაკნე კი ქურდობაში ეჭვმიტანილი პირია.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტსმენების საკნებში ვიდეოკამერები არ არის დამონტაჟებული, რასაც რუსეთელი უფლებადამცველები დიდად განიცდიან — ვაითუ რამე კონფლიქტი მოხდესო... მაგრამ თავად ფეხბურთელები წინასწარი პატიმრობის პირობებს არ უჩივიან. ბოლო დროს მათ საკვებისა და ჰიგიენის საგნების ყიდვის უფლება ადგილობრივ მაღაზიაშიც მისცეს, ხოლო პავლე მამაევს მამასთან პაემანიც ჰქონდა, თუმცა, ცოლ-შვილის უნახაობის გამო დიდ განცდებშია.

მისი ძმაკაცი ალექსანდრე კოკორინი კი გვერდით საკანში ზის. იგი საყოფაცხოვრებო პირობებს არ უჩივის, თუმცა კი საკუთარ დათრგუნულ მდგომარეობას არ მალავს: მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ აპელაციის შემდეგ სასამართლო თავდებში გამოუშვებდა (მოთამაშის დედა მზად იყო საგირავნო 10 მილიონი რუბლი შეეტანა).

იმასაც შეგახსენებთ, რომ ალექსანდრე კოკორინი ამჟამად 27 წლისაა, პავლე მამაევი კი — 30-სა.

მოსკოვის პატიმართა უფლებების დაცვის, საზოგადოებრივი სადამკვირვებლო კომისიის პასუხისმგებელი ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივნის **ივანე მელნიკოვის** განცხადებით, ორივე ფეხბურთელი ამჟამად... ვარჯიშს განაგრძობს, თუმცა, ცხადა, იმის გათვალისწინებით, რამდენადაც ამის გაკეთება წინასწარი გამოძიების იზოლატორშია შესაძლებელი. ყოველდღიური სეირნობის დროს ისინი გამამხნევებელ ვარჯიშებსა და გაჭიმვას ასრულებენ. გარდა ამისა, იზოლატორის ტერიტორიაზე არის ღერძებიანი მოედანიც.

— ეს, რაღა თქმა უნდა, დასასვენებელი სახლი არ არის, მაგრამ, რა ვქნათ, უნდა გავუძლოთ, — გულს იმშვიდებს ჩხუბისთავი პავლე მამაევი.

ნინო ალექსანდრია

◎ სუმო

ახალგაზრდულ ევროპირველობაზე

ყოფილი ესტონელი ოძეკის — ბარუტოს მშობლიურმა ქალაქმა რაკვერემ ახალგაზრდა სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი — ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ სამშობლოში ქართველი სუმოისტები. ექვსი ჩვენებურიდან ხუთმა (მხოლოდ საბა გამთენაძე დარჩა უმედლოდ) შვიდი ჯილდო დაიმსახურა.

საგულისხმოა, რომ გუგა რევიშვილი, დავით აბდალაძე, საბა გამთენაძე და დემურ ფესტვენიძე პირველად მონაწილეობდნენ მსგავს შეჯიბრებაში, ხოლო დავით კაცაძემ და ზურა წიქორაძემ წლეულს ივლისში მსოფლიოს პირველობაზე მოპოვებულ ბრინჯაოს მედლებს ევროპის ჩემპიონატის „ოქროები“ შეჰმატეს.

16-წლამდელებში ჩემპიონი გახდა დავით კაცაძე (95 კგ), გუგა რევიშვილმა (75 კგ) და დავით აბდალაძემ (65 კგ) კი მესამე ადგილები დაიკავეს. 18-წლამდელებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდა ზურა წიქორაძე (თავისუფალსა და +100 კილოში), ხოლო დემურ ფესტვენიძე (+100 კგ) და დავით აბდალაძე (60 კგ) ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

გივი გაგუა

◎ ვუშველოთ!

ტომარაძის გადასარჩენად

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ზურაბ ტომარაძეს გადაუდებლად ესაჭიროება ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია.

მისი მდგომარეობა კრიტიკულია და დაუყოვნებლივ მოითხოვს ჰოსპიტალიზაციას.

გარდა მე-4 სტადიის ცეროზისა, მას ექიმებბა დაუდგინეს მენჯბარძაყის მწვავე კოკს-ართროზი, რომელიც ასევე საჭიროებს ოპერაციას.

ზურაბ ტომარაძე არის ადამიანი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოში კალათბურთის განვითარებაში და ჩვენი საამაყო კალათბურთელების აღზრდაში.

ოჯახმა ყველა ღონე იხმარა მდგომარეობიდან გამოსასვლელად, თუმცა, სამწუხაროდ, გადანერგვა ერთადერთი გზაა მის გადასარჩენად. ოპერაციები უნდა ჩატარდეს საქართველოში, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 110 000 ლარს.

ვისაც დახმარების სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ ისარგებლოთ მისი შვილების ანგარიშებით:

TBC ბანკი: ირაკლი ტომარაძე GE67TB7176345061100077. ჩასარიცხი აპარატიდან: პირადი ნომერი 01025015635 ან BOG საქართველოს ბანკი: კონსტანტინე ტომარაძე GE82BG0000000765142900 ჩასარიცხი აპარატიდან: პირადი ნომერი 01025015634.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერი

ზედიზედ მეორედ - ტურის სიმბოლურში!

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გიორგი ჩაკვეტაძე ბელგიის იუპილერ ლიგის სიმბოლურ ნაკრებში ზედიზედ მეორედ მოხვდა. 19 წლის ჩვენებურის გარჯა მე-12 ტურში თითქმის ყველა ბელგიურმა გამოცემამ გამოარჩია, მათ შორის — Walfoot.be-მ, Voetbalkrant.com-მა და voetbalpremeur.be-მ. აი, რას წერს ეს უკანასკნელი.

„მეორე მხარეს არის გიორგი ჩაკვეტაძე. ახალგაზრდა ქართველი კიდევ ერთხელ იყო ბრწყინვალე „გენტში“ და უკვე გოლების გატანაც შეუძლია. მან „შარლერუასთან“ ორჯერ გაიტანა და ჩვენი ვერსიით ტურის ფეხბურთელია!“.

შეგახსენებთ, რომ გიორგიმ გასულ უქმეებზე „შარლერუასთან“ ჩინებულად ითამაშა, დუბლი შეასრულა და „გენტს“ გამარჯვება მოუტანა (2:1). აქვე გეტყვით, რომ ჩაკვეტაძე ბელგიის მე-11 ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

კოლეგებს ემტერება

უშმური კაჭრეთელი „ტომატოც“ კი მეზობლებს ისე ხშირად არ ეჩხუბება, როგორც იტალიელი მოდელი აიდა იესპიკა თავის კოლეგებს. ვნებიანი სენიორიტა მიიჩნევს, რომ სამოდელო საქმეში ბევრი არაპროფესიონალი ფუთფუთებს და მათ შემხედვარე ქალს საპოდიუმე ფიცარნაგზე გრძელი ფეხებით გემრიელად ვეღარ უბაკუნია.

ბულვარულ ამბებში კარგად ჩახედულ ხალხს შეიძლება კიდეც ახსოვდეს, რომ იგი ერთ დროს ვეტარანი იტალიელი ფეხბურთელის კრისტიან ვიერის საყვარელი იყო და მექალთანეობით სახელგავარდნილ თავდამსხმელთან აიდას ერთწლიანი რომანი „ყვითელი“ მედიის ყურადღების ქვეშაც მოქცეულა.

ამჟამად იესპიკა მილანში მოღაწეობს და იქაური ფეშენ-ვიკები ისე არ ჩაივლის, ამ ქალმა ფართო საზოგადოების წინაშე თავისი მკერდ-ბარძაყი კახური ხაშლამასავით არ დააწყოს და ყველას თვალები არ დააჭყეტინოს. ეს საქმე კი, მტერმაც და მოყვარემაც უნდა აღიაროს, რომ მართლაც მაგრად გამოსდის!

კობა კობახიძე

◎ ლექსი – მიზანში

ქართველ ჯალათებს

ჯალათებო, ლაფში ნუ სვრით
ლამაზ ქართულ გვარ-სახელებს,
თორემ მალე მოვა დრო და
მოგეზღვევათ მისხლით,
სადა ჰქონდათ დიდგორელებს,
მარტყოფელებს, არაგველებს
ნაძირალა ქართველთათვის
დასაღვრელი სისხლი?!

ჭკუით!

ადრეც ბევრი დაგვიშავდა,
ახლაც ბევრი რომ შავდება,
ჭკუით, თორემ რომ წაშავდა,
ისევ უკან მოშავდება!

ავკაცობა

ავკაცობას არ ჰქონია ზღვარი,
ნუთუ, ღმერთო, შენ ვერაფერს ხედავ,
ისევ სისხლი, ისევ ცრემლის ღვარი,
რა ცოდვა გვჭირს უთვალავი, ნეტავ,

რატომ გლოვის არ გუგუნებს ზარი,
ქარიშხლებიც რატომ დუმან, ნეტავ,
მხოლოდ მტკვარი, ცრემლით სავსე მტკვარი,
ისე მოთქვამს, ვით შვილმკვდარი დედა.

* * *

გვახსოვდეს, რუსთან თუ მტრად დავრჩებით,
უბედურებას ვერ გადავრჩებით.

* * *

იმდენი ვლანძღეთ რუსი და ვოვა,
ვაი, თუ მართლაც დაგვიმარტოვა!

* * *

ის რა კაცია, თუ ვერ მოტვინა
ალენ დალესის ბილწი დოქტრინა
და რომ უგვანო რუსოფობია,
როგორც ფაშიზმი, დასაგმობია.

ნაგვის ურნასთან

ნაგვის ურნასთან ხალხის რიგი დგას,
თვალები მტკივა ამის ყურებით,
ეგ თავი ღლონტის ღორს რომ მიგიგავს,
იქ უნდა ეგდოს თავის ყურებით.

ამ ყოფას შენიც ატყვია ღვაწლი,
დაგბედებოდეს შენ ეგ ურნები,
ვით დაგებედა სიხარბე, ღვარძლი
და ეგ ცინიზმი განუკურნები.

* * *

სავალალოა დღე ჩვენი ყოფა,
თავი აღარსად გამოგვეყოფა,
სულ არ გვცოდნია მომავლის გათვლა,
გიჟვრაცუები ვყოფილვართ მართლა.

* * *

იცით, რატომ ვართ ძმებო ამ დღეში,
რატომ ვიქეცით ფარსად?
ქართლს რომ ბომბავდნენ, ჩვენს რესტორნებში
ტევა არ იყო არსად!

* * *

ვიდრე ჩაგძირავთ ცოდვის მეწყერი,
რა მომასვენებს, რა გამახარებს,
გული მერევა, როცა შეგცქერით
ნამუსგარეცხილ ტაკიმასხარებს!

ჩვენს დემაგოგებს

დემაგოგებო, თქვენი მისია
მარტო სიტყვების რახარუხია,
ქარული მიწა ისევ სხვისია,
ქართული ზეცა ისევ რუხია.

კოჰაბიტირებულებს

ვაი, რომ აპეურები
სულ დაწყვეტილი გქონიათ,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი გგონიათ!

ისევ იყიდება

იყიდება ხელი ხელში,
საფიცარი მთა-ბარი,
გადაბრუნდნენ სამარეში
დავითი და თამარი.

უღირსებო!

დღეს რომ კაცი არაკაცებს გაეგება,
მას ღირსების არაფერი გაეგება.
ვაი, ჩემო ქართველებო, უღირსებო,
როგორ გინდათ ყოფნა ასე, უღირსებოდ?!

* * *

თუ ნაცბანდა ჩვენი ხალხის ჯალათია,
მათთან ყოფნაც საქართველოს ღალატია,

როგორ მიყვარდა

როგორ მიყვარდა ყველა ქართველი,
ყველას მოყვასად ვთვლიდი,
თურმე, რამდენი გვყოლია გველი,
არამზადა და ფლიდი,

ნეტა ვიცოდე, როდესაც ბოლოს
განკითხვის ჟამი მოვა,
სად შეაფარებს თავს, რომელ სოროს
ნაძირალების ხროვა.

უშენოდ

„შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი“.
გ. ლეონიძე

შენს ლამაზ თვალებს რა დამავიწყებს,
იმ განცდამ დღემდე არ გამიარა,
გული ძალუმად ძგერას დამიწყებს,
რომ მახსენდები, როგორც იარა.



შენს სახლთან ახლოს
ჩავიარ-ჩამოვალ,
შემომეყრება სევდა და
დარდი,
იმ ლამაზ დღეებს ვიგონებ,
ვლოცავ,
დაუფარავად შენც რომ
გიყვარდი.

გურამ ჯავჯანიძე

რეკლამა

„საქართველოს
რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21.
599 79-76-79;
568 82-09-84

იაგო ნებიერიძეს ბრალი დაუმძიმდა

გორში 9 წლის ბავშვის მკვლელობაში ბრალდებულ პირს იაგო ნებიერიძეს, ბრალი გარყვნილი ქმედების მუხლით დაუმძიმდა. ამის შესახებ განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, კახაბერ საბანაძემ განაცხადა.

მინისტრის მოადგილის თქმით, მკვლელობის საქმეში ბევრი მტკიცებულება არსებობს და დეტალებს უწყება საზოგადოებას ოდნავ მოგვიანებით გააცნობს.

რაც შეეხება 14 წლის წინ მომხდარ დანაშაულს, რომელიც 11 წლის მოზარდის გატაცებას ეხება და რომელშიც ბრალდებული პირის სახელი ფიგურირებს, შს სამინისტროში ამბობენ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით, უწყებაში გამოძიება დაიწყო.9 წლის ნანა ბერიაშვილის ცხედარი სამართალდამცველებმა გორში, ლიახვის ნაპირზე 25 ოქტომბერს იპოვეს. დაკავებულია 34 წლის იაგო ნებიერიძე.

ჰენრი კუპრაშვილი მსოფლიო ჩემპიონია

სტუ-ს 72 წლის პროფესორმა ჰენრი კუპრაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა ეგვიპტის ქ. ჰურგადაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე. ეს მსოფლიო ასპარეზობა თანამედროვე ხუთჭიდის ორ სახეობაში ბიატლსა (სირბილი, ცურვა) და ტრიატლში (სროლა, ცურვა, სირბილი) გაიმართა 27-28 ოქტომბერს. ჰენრი კუპრაშვილმა გარდა ბიატლში აღებული პირველი ადგილსა, აგრეთვე მოიპოვა ბრინჯაოს მედალი ტრიატლშიც.

საქართველოდან წარგზავნილებიდან მესამე ადგილები მოიპოვეს კატეგორია-U13-ში ნოე ფანცხავამ და კატეგორია 40+50 ლია ქორჩილავამ. ხოლო კატეგორია-U19 ქრისტინა ჭიტაძემ მოიპოვა მეოთხე ადგილი. საქართველოს ნაკრების გამგზავრება თბილისის მერიამ დააფინანსა.

2019 წელს პირველი „ლუდის ავიარეისი“ განხორციელდება

ბრიტანული ლუდსახარში კომპანია BrewDog-ი 2019 წლისთვის, პირველად ისტორიაში, „ლუდის ავიარეისს“ გაუშვებს. ავიარეისის განხორციელების პერიოდში მგზავრებს სპეციალურ ლუდს შესთავაზებს. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, BrewDog-მა შეძლო და შექმნა სასმელი, რომელის გემოც სრულფასოვნად 9 ათასი მეტრის სიმაღლეზე იშლება და ხდება სრულყოფილი.

„ფრენისას გემოს რეცეპტორები სხვანაირად ფუნქციონირებენ და აღიქვამენ. ამიტომ ჩვენმა ლუდის მხარშველებმა შექმნეს ლუდი, რომელიც უგემრიელესი იქნება მხოლოდ ჰაერში და არა მიწაზე“, აცხადებენ კომპანიაში. პირველი „ლუდის რეისი“ 2019 წლის 21 თებერვალს ლონდონის სტანსტედის აეროპორტიდან აშშ-ის ორლანდოს შტატის მიმართულებით განხორციელდება. მგზავრების გადაყვანას კი Boing 767 უზრუნველყოფს.

ციტრუსის მოსავლის დაზღვევის ბოლო ვადა 5 ნოემბრით განისაზღვრა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში ფერმერებს საშუალებას აძლევს, ციტრუსი საშემოდგომო ყინვის რისკისგანაც დააზღვიონ. სადაზღვევო პოლისის თანამონაწილეობა სახელმწიფოს მხრიდან 70%-ს შეადგენს. პროექტში ჩართვის შემთხვევაში, ციტრუსის ბაღების მქონე ფერმერებისთვის სადაზღვევო პოლისი დაფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა.

ფერმერების ინტერესების გათვალისწინებით, ციტრუსის დაზღვევას სახელმწიფო პროექტში ჩართული კერძო სადაზღვევო კომპანიები მიმდინარე წლის 5 ნოემბრამდე მოახდენენ.

აგროდაზღვევის პროექტში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პროექტში შესული ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო აგროდაზღვევით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ ფერმერს, რომელსაც მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული აქვს. 2018 წლის სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში, გაცემულია 12,170 პოლისი; პროექტში ჩართულია 7,460 ბენეფიციარი; სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიის სუბსიდიის თანხამ 4,395,237 ლარი შეადგინა. დაზღვეულია 11,432 ჰა ფართობი მიწის ნაკვეთი, ხოლო მოსავლის ღირებულება, ჯამში, 84,929,988 ლარია.

საბანკო რეგულაციები, რომლებიც პირველი ნოემბრიდან უნდა ამოქმედებულიყო, გადავადდა

როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, დაგეგმილი რეგულაციები შერბილდა და ამჟამად, ტექნიკური დეტალების დაზუსტებაზე მიმდინარეობს მუშაობა.

ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის ახალი რეგულაციები 2018 წლის პირველი ნოემბრიდან უნდა ამოქმედებულიყო. საუბარია რეგულაციებზე, რომლის თანახმად:

- **იპოთეკაზე წესდება მაქსიმუმ 15-წლიანი ლიმიტი;**
- **უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი მაქსიმუმ 10-წლიანი იქნება;**
- **ავტოსესხი მაქსიმუმ 6-წლიანი;**
- **ნებისმიერი ტიპის სესხის ხანგრძლივობა 4 წელს არ უნდა აჭარბებდეს.**

ეროვნული ბანკის პროექტის მიხედვით განსაზღვრული იყო ექვსი საშემოსავლო საფეხური და სესხის კოეფიციენტი:

- **თვეში 10 000 ლარზე მეტი — ბანკი თავისი შიდა პოლიტიკის მიხედვით ადგენს სესხსა და პირის შემოსავალს შორის ბალანსს.**
- **თვეში 7 000-10 000 ლარამდე — ყოველთვიური სასესხო ტვირთი შემოსავლის მაქსიმუმ 30 პროცენტი, ანუ 3000 ლარამდე;**
- **თვეში 5 000-7 000 ლარამდე — ყოველთვიური სასესხო ტვირთი შემოსავლის მაქსიმუმ 25 პროცენტი, ანუ 1 750 ლარამდე;**
- **თვეში 3 000-5 000 ლარამდე — ყოველთვიური სასესხო ტვირთი შემოსავლის მაქსიმუმ 20 პროცენტი, ანუ 1000 ლარამდე;**
- **თვეში 1 000-3 000 ლარამდე — ყოველთვიური სასესხო ტვირთი შემოსავლის მაქსიმუმ 20 პროცენტი, ანუ 600 ლარამდე;**
- **თვეში 1 000 ლარამდე — ყოველთვიური სასესხო ტვირთი შემოსავლის მაქსიმუმ 20 პროცენტი, ანუ 200 ლარამდე.**

ფიქრთ გასართველად

სხვათაგან თქმული

ამქვეყნად არც არაფერია უფრო გულწრფელი, ვიდრე საკუთარი თავის მოტყუება.

* * *

შურიანობისთვის ორი ადამიანია საჭირო, ეჭვიანობისთვის — სამი, ხოლო სისულელისთვის ერთიც საკმარისია.

* * *

საკუთარ თავს ძალიან მევრს თუ სთხოვ, ამ კმაყოფილებას შენს ახლობლებს ართმევ.

* * *

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება ისეთი დრო, როცა აზრი არა აქვს საკუთარ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, მევრად ადვილია ახალ ნაკლოვანებათა შეძენა.

* * *

რათა არაფერი არ შეცვალონ, თამაშის წესებს ცვლიან.

* * *

მეორე დღეს ნაღვინევზე თავის ტკივილი საკუთარი თავმომწონეობით თრობამ იცის.

* * *

ცხოვრებაში ყველაზე ჭკვიანი ისევ ცხვარია.

* * *

მაზოხისტის სიზერე სიამოვნებით სავსეა.

* * *

რაც უფრო მეტია ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა, მით უფრო მეტია გამოუსწორებელი სისულელე.

* * *

უკეთუ მევრად მეტნი არიან ისინი, ვისაც შენ იცნობ, ეს ან დიდება, ანდა სკლეროზია.

იცით თუ არა, რომ...

...**ძლიერი** სტრესის ან ტესტოსტერონის ზემოქმედების შედეგად კაცს დღეში შეიძლება 3 ათასი ღერი თმა გასცვივდეს.

...საყოფაცხოვრებო პლასტიკატი დაშლისას უძლიერეს სასათბურე გაზს — მეთანს გამოყოფს, რომელიც საყოველთაო დათბობას აჩქარებს.

...ფრანგული კინოს ლეგენდა და მსოფლიო კინომატოგრაფის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი მსახიობი ბრიჯიტ ბარდო, საკუთარ თავზე მუდამ მესამე პირში ლაპარაკობს.

...ყოველი საუზმის წინ ინგლისის დედოფალი ელისაბედ მეორე თითო ქლიავს მიირთმევს.

...პირველი თანამედროვე თხილამურები ნორვეგიელი სონდრე ნორჰეიმის ნახელავია.

...ტერიტორიის სიდიდით ბანგლადეში რუსეთის მურმანსკის ოლქის ტოლია, თუმცა იქ რუსეთზე 20 მილიონი კაცით მეტი ცხოვრობს.

თევზი მიირთვით, თევზი!

თევზეულის მოხმარება, თურმე სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

15-წლიანი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ თევზეულის რეგულარულად მომხმარებელი მამაკაცები, სხვებთან შედარებით, 10 პროცენტით უფრო იშვიათად უჩივიან გულ-სისხლძარღვთა და ღვიძლის დაავადებებს. ქალებში კი თევზის მოხმარება 38 პროცენტით ამცირებს ალცჰაიმერის სნეულებისა და კიბოსგან სიკვდილის რისკს.

ვირთხების სამყარო

ზოოფსიქოლოგების აზრით, ვირთაგვები პოლიტიკოსებს ჰგვანან, ყოველ შემთხვევაში ამ ცხოველების დახასიათებისას ასეთ პარალელს ავლებენ ისინი, რადგან პოლიტიკოსების მსგავსად ვირთაგვებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვიან, თუმცა საამისოდ გარკვეულ თანამეგობრობაში, ანუ დემებში ერთიანდებიან, რასაც პოლიტიკოსების შემთხვევაში პარტიები ეწოდება.

ადამიანების მსგავსად არც ვირთაგვები არიან მიდრეკილნი ხანგრძლივი თანამშრომლობისკენ. თითოეული დემი რამდენიმე ათეულ მღრღნელს აერთიანებს, რომელთა შორის დიდი „ჩახუტება“ არ არსებობს, მაგრამ მთლიანობაში ეს მდგომარეობა არსებობას უადვილებს, ვინაიდან ცხოველები მკვეთრად ასხვავებენ „თავისიანებსა“ და „უცხოებს“. ერთი პარტია-დემის ვირთაგვები გარკვეულ ტერიტორიაზე ბინადრობენ, სადაც უცხოებს არ უშვებენ.

მრავალპარტიული სისტემა ვირთაგვების საზოგადოებაში შედარებით მოწესრიგებული ვითარების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. თითოეულმა დემმა კარგად იცის თავისი უფლებები და იბრძვის მათ დასაცავად. ამდენად, სხვა დემის წარმომადგენელთან შეხვედრისას ისინი უმალ არკვევენ მის „პარტიულ“ კუთვნილებას, მყისვე იგებენ, თუ რა მუქარის მატარებელი შეიძლება იყოს ის და დიდი უაზრო ბრძოლის ატეხას ერიდებიან. „უპარტიო“ უფლებას კი უკლებლივ ყველა დემის წარმომადგენელი უტევს და მათ უმოწყალოდ დევნის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 593 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7020; ევრო - 3.0808;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4677;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4884;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5941;
1000 სომხური დრამი - 5.5540.

ამინდი 31 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +20
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +19
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +24
თბილისი: ღამე +6, დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge